# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 30 იანვარი 2003 №13 (1784) | ფასი 50 თეთრი




ლევან კობიაშვილი

# კონტრაქტები და კონტრასტები

## კობიაშვილი: ბუნდესვარიანტი

## ოთხი ქართველი იქ, სადაც თურქეთი მთავრდება



ზაზა ჯანაშია



გივი დიდავა

ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა ისე იხურება, ბოლოლა კლუბებს თავი დიდად არ გამოუდიათ და საფეხბურთო სამყაროს მანათობელ ვარსკვლავთა გადაბირება არც უცდიათ. მართალია, ფანჯრის ჩარაზვამდე ჯერ კიდევ ერთი დღეა დარჩენილი, მაგრამ არა გვგონია, შარშანდელი 31 აგვისტო გამეორდეს — რონალდოს „ინტერიდან" „რეალში" გადაბარგებას ვგულისხმობთ.

ბობოლა კლუბებმა თავის საქმისა უკეთ უწყიან, ჩვენ კი ჩვენი ვიკითხოთ და უცხოეთში მიმოფანტულ ქართველ ფეხბურთელთა სატრანსფერო რია-რიაზე ვთქვათ.

პირველ ბუნდესლიგაში აღზევების მოსურნე „ფრაიბურგის" კაპიტანი ლევან კობიაშვილი მომავალ სეზონში უმთავრეს გერმანულ ლიგაში მაინც ითამაშებს და ეს მიუხედავად იმისა, შეძლებს თუ არა „ფრაიბურგი" ელიტაში ფეხის შედგმას. საქმე ისაა, რომ კობიაშვილს თვალი „დორტმუნდმა", „შალკემ", „მიუნხენ 1860"-მა, „შტუტგარტმა" და „ლევერკუზენმა" დაადგეს. ამათ კი ლიგიდან გავარდნა ნაღდად არ ემუქრებათ. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ამ სეზონის დასრულებისთანავე ლევანს „ფრაიბურგთან" კონტრაქტი უმთავრდება და თავისუფალი აგენტის სტატუსით გულდამშვიდებულს არჩევნის საშუალება ეძლევა.

თავის კაპიტანს შეელია ქუთაისის „ტორპედოც", რომელმაც გუშინ გივი დიდავა თურქეთის სუპერლიგის მარჩხალას, „ქოჯაელისფორს" მიჰყიდა და რევაზ ქემოკლიძეც სეზონის ბოლომდე ათხოვა. საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე გაირკვა თურქთათვის გრიგოლ იმედაძეც, ოღონდ სამისოდ იზმითელებს ვლადიკავკაზის „ალანიას" თავკაცთა დასტურის მოსმენა მოუხდათ. დიდავა-ქემოკლიძე-იმედაძის ტრიოს, სავარაუდოდ, მხარს დაუმშვენებს ზაზა ჯანაშიაც, ოღონ სამისოდ ზედმეტი კილოგრამების ჩამოფერთხვა მოუწევს და ამ საქმეში მას ათი დღის მანძილზე „ქოჯაელის" ფიზმომზადების მწვრთნელი სონერ ბოზი დაეხმარება ეტყობა, ამ ბოზს ეს საქმე კარგა ეხერხება და ზაზასაც ფორმაში მოიყვანს, ჩვენ კი ახლა საქართველოში თამაშის მსურველებზე ვთქვათ.

დიდავა-ქემოკლიძის გასხვისებით გაჩენილი ნაპრალების ამოვსებას „ტორპედო" [illegible] რაინელი ლეგიონერებით ცდილობს, [illegible] ბიჭები ალექსანდრ შტელინმა ჯერ [illegible], ანუ ანთალიური შეკრებისას უნდა ნახოს. [illegible] რქეთში მოვარჯიშე თბილისური „ლოკომოტივის" მწვრთნელი ლუის ცაკარიასი კი [illegible] ორი დღეა აკვირდება განელ ნანა [illegible], ხოლო გუშინ პირუელს ბულგარელი თავდამსხმელი, პლოვდივის „ლოკომოტივში" [illegible] თამაშევი გიორგი ზდრავკოვი ჩაუყვანეს და დღეს პორტუგალიელ ფორვარდსაც შეავლებს თვალს.

მოკლედ, ასეთი ამბებია, კარგები მიდიან და ვინ მოდის... ბურთი და მოედანი გამოაჩენს.

# ზოგჯერ რეალიც პალმაზე ზის

როდის წააგო ბოლოს „რეალმა" 0:4, ძნელი გასახსენებელია, მაგრამ ესპანეთის თასის მეოთხედფინალის გუშინდელი საპასუხო მატჩი რომ მადრიდელებს კარგა ხანს არ დაავიწყდებათ, ნაღდია. ყოფილი რეალელის, სამეული ეტოოს დუბლით და ფერნანდო ნინოსა და ვალტერ პანდიანის გოლებით პალმა დე მალიორკიდან „სამეფო გუნდი" შინ კუდამოძუებული გაისტუმრეს.

მაგრამ გუშინდელი საფეხბურთო სალამოს გამორჩეული მატჩი ინგლისში, ლივერპულის „ენფილდ როუდზე" გაიმართა. ფრანგულად ნაწრთობი ბრიტანული ბობოლების, „ლივერპულისა" და „არსენალის" ჯახი ემილ ჰესკის საგოლე თავურით დაგვირგვინდა. 2:2 და ქულა აქა, ქულა იქა — არსენ ვენგერის „არსენალი" კი სრულიად ინგლისის თავში.



REUTERS ლონდონიდან

ტოტენჰემი — ნიუკასლი 0:1. ნიკოს დაბიზასის (მარცხნივ) „ნიუკასლმა" პრემიერსამეულში ფეხი მოიკიდა



REUTERS პალმა დე მალიორკიდან

რაული, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XXIV ტური
ნანტი 0:2 მონაკო
მონპელიე 0:1 აიაჩო
ბასტია 2:0 ოსერი
ტრუა 0:1 ბორდო
გენგამი 1:2 ლე ავრი
პსჟ 1:0 ლილი
ლანსი 2:2 ლიონი
სოშო 1:0 რენი
სედანი 2:1 სტრასბური

II დივიზიონი. XXIII ტური
ნანსი 1:0 შატორუ
ბოვე 0:1 გრენობლი
კრეტეი 0:1 კლერმონი
ნიორი 0:0 რეიმსი
სენტ ეტიენი 0:3 გენიონი
ვალანსი 1:0 ლავალი
ვასკეალი 0:0 ამიენი

## პორტუგალია

თასის 1/8 ფინალი
ესპინიუ 1:1დ.დ.(პენ.2:4, 0:0) *ნავალი*
*აკადემიკა* 3:1 შავეში
ამადორა 0:1 *სპორტინგი*
გიმარაეში 1:2 *პორტუ*

## შოტლანდია

პრემიერლიგა XXV ტური
სელტიკი 2:0 დანდი იუნ.
ჰიბერნიანი 0:2 რეინჯერსი
კილმარნოკი 1:0 მოზერუელი

## ესპანეთი

თასის 1/4 ფინალი საპასუხო მატჩები
*მალიორკა* 4:0 რეალი (1:1)
*ოსასუნა* 3:2დ.დ.(1:1) სევილია (1:1)

## ინგლისი

პრემიერლიგა XXV ტური
მანჩესტერ სიტი 4:1 ფულემი
ტოტენჰემი 0:1 ნიუკასლი
ვესტ ბრომვიჩი 0:1 ჩარლტონი
ვესტ ჰემი 2:1 ბლეკბერნი
ლივერპული 2:2 არსენალი

## საბერძნეთი

თასის 1/8 ფინალი საპასუხო მატჩი
აპოლონი 0:3 *აეკ* (0:2)

## ჰოლანდია

თასის 1/8 ფინალი
*ვიტესი* 4:2 ბრედა

## ამხანაგური მატჩი

კვიპროსი 1:2 საბერძნეთი



ლივერპული — არსენალი. იონ არნე რიისემ სიხარულისგან მაისურა შემოიხია




მალიორკელებმა ისე ითამაშეს, მადრიდელებმა პირი დააღეს



ლანსი — ლიონი. მასპინძელი ჯონ უტაკა ბურთს მთელი ტანით გადაეღობა




ტოტენჰემი — ნიუკასლი. ლონდონელ ჯეიმი რედნაპს დარტყმა არ დაანებეს

Andebol Portugal'2003

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ვაჟები

პორტუგალია. 20 იანვარი – 2 თებერვალი

მეორე ჯგუფური ეტაპი

I ჯგუფი
ისლანდია 33:29 პოლონეთი
ესპანეთი 40:15 ყატარი

II ჯგუფი
გერმანია 30:21 ტუნისი
იუგოსლავია 30:28 პორტუგალია

III ჯგუფი
ხორვატია 29:23 ეგვიპტე
დანია 28:35 რუსეთი

IV ჯგუფი
შვედეთი 33:32 უნგრეთი
საფრანგეთი 31:22 სლოვენია



Euroleague

## ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. XII ტური. 29 იანვარი

A ჯგუფი
ეფესი 75:57 სკიპერი
პო ორტეზი 86:84 აეკ

B ჯგუფი
პანათინაიკოსი 86:83 ტაუ
სიენა 73:79 უნიკახა

C ჯგუფი
ზლიონსკი 83:74 პარტიზანი

# ჩემი არჩევანი
## დორტმუნდი და შალკე კობიაშვილს ვერ იყოფენ


ლევან კობიაშვილი მომავალ სეზონში, შესაძლოა, დორტმუნდელი გახდეს

*საქართველოს ნაკრებისა და მეორე ბუნდესლიგის „ფრაიბურგის“ ნახევარმცველმა ლევან კობიაშვილმა გუდას პირი მოხსნა და ის კლუბები ჩამოთვალა, რომლებიც მას ეპატიჟებიან და რომელთაგანაც ერთს ამ სეზონის გასრულებისთანავე ზაფხულში შეუერთდება. ჩვენში ისეთი ტენდენციაა, ვიდრე ფეხბურთელი ახალ გუნდთან კონტრაქტს ხელს არ მოაწერს, იქამდე მისით დაინტერესებულთა ვინაობას უმეტეს შემთხვევაში ცოცხალი თავით არ ამხელს. კობიაშვილმა კი, რომელსაც „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი მაისში უმთავრდება, პირდაპირ განაცხადა, რომ ბუნდესლიგის ხუთი, თანაც სახელოვანი გუნდი იწვევს და უახლოეს ხანს იმ ერთ-ერთს აირჩევს, ვინც, ცხადია, უკეთეს პირობებს შესთავაზებს.*

*მაშ ასე, ლევან კობიაშვილი ამბობს, რომ...*

— „დორტმუნდი“, „შალკე“, „მიუნხენ 1860“, „ლევერკუზენი“ და „შტუტგარტი“ — ამ გუნდებთან მიმდინარეობს მოლაპარაკება. ისინი დაინტერესებულნი არიან, „ფრაიბურგიდან“ წასვლის შემდეგ მათთან ვითამაშო. ჯერჯერობით არაფერი გადამიწყვეტია, თუმც ერთს ახლავე გეტყვით, „ფრაიბურგი“ ბუნდესლიგაში დაბრუნდება თუ არა, მე მაინც ბუნდესლიგაში გადავალ. ჩამოთვლილ გუნდთაგან ერთ-ერთს შევუერთდები.

**— საქმე ასარჩევად გქონია...**

— შეიძლება ასეც ითქვას, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ ჩემს სურვილზეც არ არის დამოკიდებული.

**— „ფრაიბურგის“ ინტერესს გულისხმობ?**

— არა, „ფრაიბურგს“ სეზონის ბოლოს დავტოვებ, როცა კონტრაქტი დამიმთავრდება და ეს გუნდი ჩემზე ყველა უფლებას დაკარგავს, თავისუფალი ფეხბურთელი ვიქნები. უბრალოდ, არის რაღაც დეტალები, რასაც ანგარიში უნდა გავუწიო.

**— დღეს ვერ გვეტყვი, რომელ გუნდს ამჯობინებ?**

— „შალკესა“ და „დორტმუნდს“ შორის დიდი სხვაობა არ არის. ცხადია, ეს ორი „მიუნხენს“, „ლევერკუზენსა“ და „შტუტგარტს“ მირჩევნია.

**— უფრო სასურველი რომელია?**

— ჩემთვის ორივე სასურველია. დღეისთვის ორივესთან მოლაპარაკება მიმდინარეობს, ორივე ერთნაირად აქტიურობს, ვნახოთ, ერთ-ერთს ავირჩევ.

— როდის?

— ზუსტ თარიღს ვერ გეტყვით, სეზონის დამთავრებამდე. იქამდე კი „ფრაიბურგში“ ვითამაშებ. თუმც გამორიცხული არ არის, შემდეგი სეზონიც აქ გავატარო.

ლევან კობიაშვილის ასეთი თავდაჯერებული სიტყვების შემდეგ „შალკეს“ პრესსამსახურსაც დავუკავშირდით, თუმც გერდ ფოსისგან მოკლე პასუხი მივიღეთ — კლუბი „შალკე“ არანაირ კომენტარს არ აკეთებს.

დაბოლოს, ლევან კობიაშვილმა უარით გაისტუმრა რუსული ცესკა, რომლის თავკაცი ვალერი გაზაევი თითქმის წელიწადი ეკურკურებოდა ქართველ ფეხბურთელს და უკრაინული „შახტარი“. კობიაშვილი ამბობს, რომ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში დაბრუნება არ სურს.

**ქობა ინასარიძე**



# მუჯირი და მათეუსი თურქეთში დაიბარეს

*ესპანური ლა მანგადან დაბრუნებული გრაცის „შტურმი“ მზადებას სამშობლოში განაგრძობს. დავით მუჯირის გუნდმა პირინეის ნახევარკუნძულზე ტურნირშიც მიიღო მონაწილეობა, სადაც ავსტრიელთა გარდა ჰოლანდიური „ფეიენოორდი“ და ნორვეგიული „რუსენბორგიც“ თამაშობდნენ.*

*გუშინ დავით მუჯირს ავსტრიაში დავუკავშირდით და გუნდის მზადების გარდა სამომავლო გეგმებზეც დავეკითხეთ*

— ლა მანგაში საკმაოდ ნაყოფიერი შეკრება გამოგვივიდა. მატჩებიც ბლომად ვითამაშეთ. საბედნიეროდ, ტრავმა არ მაწუხებს და სრული დატვირთვითაც ვვარჯიშობ.

**— მეორე შეკრებას სად გაივლით?**

— შაბათს ანთალიაში მივდივართ. იქაც რამდენიმე ამხანაგური მატჩია დაგეგმილი. ალბათ, ტურნირშიც მივიღებთ მონაწილეობას. ჩვენთან ერთად შვეიცარიული „იანგ ბოისი“ და „ბაზელი“, იუგოსლავიური „პარტიზანი“, რომელსაც ახლახან მწვრთნელად ლოთარ მათეუსი დაუნიშნეს და ერთ-ერთი კორეული კლუბიცაა მიწვეული.

**— ესპანურ ტურნირს, ალბათ, ბევრი სელექციონერი ესწრებოდა, თან „რუსენბორგის“ კარში „მაკრატელათი“ ლამაზი გოლიც გაიტანე...**

— მივხვდი, რისი თქმაც გინდა. სხვა კლუბში გადასვლაზე ახლა ნაღდად არ ვფიქრობ. ძირითად შემადგენლობაში ადგილიც დავიმკვიდრე და ჯერ არსად მეჩქარება. ერთ თვეში ჩემპიონატი განახლდება და მიზნის მისაღწევად უკან არ დავიხევ.

**— გუნდიდან ვინმე ხომ არ წასულა?**

— მხოლოდ ჰორსტ შელდტი დაბრუნდა გერმანიაში. თან ისიც არ იყო ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე. დანარჩენი ყველა გუნდშია.

**— ადრე მწვრთნელის შეცვლაზე ლაპარაკობდნენ...**

— კი, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ ისევ ფრანკო ფოდა გვიხელმძღვანელებს, თან შედეგებიც არა აქვს ურიგო.

**— 12 თებერვალს საქართველოს ნაკრები ამხანაგურ მატჩში მოლდოვას ეთამაშება. ნაკრებიდან საამხანაგოდ ვინმე ხომ არ შეგხმიანებია?**

— არა. ჯერ არ გამოვუძახებივარ.

**კახა ზალამბერიძე**

# არა გუნდი, ფული, ფეხბურთი
## დაეწევა ჰოლენი აღმართში ხომერიკს?



— ჩემი ახალ კლუბში გადასვლა ჯერაც არ გადაწყვეტილა. „ვოლენი“ ისევ დაინტერესებულია, მაგრამ სამწუხაროდ ეს საქმე წინ არ წასულა. ეგ კი არა, ახლა „აარაუს“ სარეზერვო გუნდიც დაიშალა. ხელმძღვანელობამ ფინანსური კრიზისის გამო გუნდის შენახვაზე უარი განაცხადა. ასე დავრჩი ჰაერში გამოკიდებული — გვითხრა გუშინ „აარაუს“ ქართველმა თავდამსხმელმა ლევან ხომერიკმა.

ამ სიტყვების შემდეგ, ალბათ, კარგად ნაცნობი ქართული ანდაზა გაგახსენდათ. ასეცაა, უთამაშებლობითა და ტრავმებით თავმობეზრებული ხომერიკი ახლა ვეღარც სარეზერვო გუნდში ივარჯიშებს. წასასვლელად კი ჯერჯერობით გზა არ ეხსნება...

გუშინ ლევან ხომერიკს „აარაუს“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა დაურეკა და გული ოდნავ მოულბო, რაც მისი სიტყვებიდანაც ჩანს:

— კლუბის თავკაცებმა შეხვედრა მთხოვეს. მითხრეს, მოვილაპარაკოთ და იქნებ დაგეხმაროთო. არა მგონია, მათ „აარაუს“ ძირითად შემადგენლობაში შემომთავაზონ ადგილი, დიდი-დიდი იქ ვარჯიშის ნება დამრთონ. ალბათ, კლუბის მოძებნაშიც დამეხმარებიან. აქედან ხომ ცოტა სარგებელს მაინც ნახავენ. სარეზერვო გუნდის ბევრი ფეხბურთელი კი საერთოდ გაათავისუფლეს.

ასეა, ჩვენებურს საფიქრალ-საზრუნავი მოემატა, „აარაუს“ ხელშეწყობის იმედიც აქვს და მის მსურველ „ვოლენსაც“ ეჭიდება.

გაგრძელება ალბათ იქნება...

**კახა ზალამბერიძე**

# დინამო აქ, დინამო იქ
## ხიზანეიშვილის ხიდი ორ დინამოზე გაივლის



თბილისის „დინამომ“ საამსეზონოდ 21 წლის მცველი ოთარ ხიზანეიშვილი იჯარით კი აიყვანა მოსკოვის „სპარტაკიდან“, მაგრამ ხიზანეიშვილმა კონტრაქტი მეორე რუსულ კლუბთან გააფორმა — ქართველი ფეხბურთელი ახლა უკვე მოსკოვის „დინამოს“ საკუთრებაა — ხიზანეიშვილმა და რუსეთის დედაქალაქურმა „დინამომ“ წელიწადნახევრიან ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი და ამ გარიგებით, ცხადია, „სპარტაკმაც“ იხეირა.

ხიზანეიშვილი სეზონს თბილისის „დინამოში“ ჩაამთავრებს და მერედა მოუწევს რუსეთის გულში ჩასვლა. თუმც, როგორც თავად ფეხბურთელმა გვითხრა, გამორიცხული არაფერია და ვინძლო, მომდევნო სეზონშიც შუმაკის „დინამოში“ იბურთაოს.

ერთი სიტყვით, ხიზანეიშვილის მარშრუტი დინამოთა მოლაპარაკებაზე გაივლის, რომელიც ალბათ, სეზონის ბოლოს გაიმართება.

**დავით თავართქილაძე**

# გუშინწინ განელი, გუშინ ბულგარელი, დღეს პორტუგალიელი

## ცაკარიასი გოლს უცხოელებს ანდობს

**ჩვენებური** „ლოკომოტივის", პერუელი თავკაცი ლუის ცაკარიასი თურქულ „ანთალიასთან" გატანილმა შვიდმა გოლმა, ეტყობა, ვერ დაამშვიდა და ისევ სასურველი ფორვარდების ძიებაშია.

გუშინ რკინიგზელებს ერთი უცხოელი თავდამსხმელიც შეემატა. 28 წლის ბულგარელი გეორგი ზდრავკოვი ბოლო დროს დობრიჩის „დობრუჯაში" ბურთაობდა.

ზდრავკოვი ბულგარულ უმაღლეს ლიგაში 1996 წლიდან თამაშობდა. მის შესაძლებლობებზე ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ, თუმც დიდი შედეგიანობით მაინც და მაინც არ გამოირჩევა. გეორგი თავდამსხმელი კი არა, უფრო ნახევარმცველი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ბულგარელები ასე მოიხსენიებენ.

ზდრავკოვი 1996 წლიდან სამი სეზონის მანძილზე პლოვდივის „ლოკომოტივის" ფეხბურთელი ყოფილა. 1999-ში „დობრუჯაში" გადაბარგებულა და იქ სადებიუტო სეზონში 2 გოლით შეწევია გუნდს, თუმც ამან დობრიჩის სიამაყე უმაღლესი ლიგიდან გავარდნას ვერ გადაარჩინა.

გეორგი პირველ ლიგაშიც ჩაჰყოლია „დობრუჯას" და 2001-02 წლების გათამაშებაში ოთხი საჩემპიონატო და ორიც სათასო გოლი მიუთვლია.

„დობრუჯა" თასის გათამაშებას მეთექვსმეტედფინალიდან დამშვიდობებია. მისი შემჩერებელი კი ამირან მუჯირის დუბნიცას „მარეკი" აღმოჩნდა.

ზდრავკოვმა გუშინ [illegible] რკინიგზელებთან ერთად [illegible] ცაკარიასს მისი საფეხბურთო ღირსებები თუ ნაკლი ჯერ არ შეუფასებია.

ჯერაც „ლოკომოტივშია" განელი ნანა ემუანი, ვისაც ბოლო ორი წლის მანძილზე დორტმუნდის „ბორუსიას" ახალგაზრდული გუნდის მაისურა მოურგია, მაგრამ რკინიგზელთა პერუელი თავკაცი გაჩერებას არ აპირებს და დღედღეზე კიდევ ერთ ლეგიონერს, ასევე თავდამსხმელს მოელის პორტუგალიიდან.

რაც შეეხება გუშინ გასამართ საკონტროლო მატჩს, რომელიც „ლოკომოტივს" ერთ-ერთ სამხრეთკორეულ გუნდთან უნდა ეთამაშა, ჩაიშალა. რკინიგზელთა მეტოქე სათამაშოდ არ მოსულა.

**მამუკა ძგანტალიანი**



ნანა ემუანი



ზაზა ჯანაშია



გივი დიდავა

# სამნი ქოჯაელში

## დიდავა იყიდეს, ორიც ითხოვეს

### ჯანაშიას ბოზი მიუყვანეს

**თურქეთის** სუპერლიგის ბოლოალგილოსანმა იზმითის „ქოჯაელმა", როგორც იქნა, ქართველი ფეხბურთელების სატრანსფერო პერსპექტივებს თავი მოაბა — თურქებმა ქუთაისის „ტორპედოსგან" იყიდეს გივი დიდავა, იჯარით აიყვანეს რევაზ ქემოკლიძე და ვლადიკავკაზის „ალანიას" კუთვნილება გრიგოლ იმედაძე — ყველაფერ ამას გუშინ საღამოს დაესვა წერტილი.

თუ რამდენს გადაუხდის „ქოჯაელი" „ტორპედოს" დიდავას სანაცვლოდ, ჯერჯერობით კონფიდენციალური ინფორმაციაა. თურქული მედია ამის შესახებ დუმს. სამაგიეროდ, ცნობილია ის, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ მხარეები კიდევ ერთხელ მიუსხდებიან მოლაპარაკების მაგიდას — თუ „ქოჯაელი" არ გავარდა, კონტრაქტის დეტალები შეიცვლება.

შესაძლებელია ისიც, რომ სეზონის დასრულების შემდეგ „ქოჯაელმა" იყიდოს ქემოკლიძეც და იმედაძეც, ან მათი იჯარა გაახანგრძლივოს.

სადაცაა, „ქოჯაელი" ალბათ კიდევ ერთ ქართველს გადაიბირებს. ზაზა ჯანაშიაც ახლა „ქოჯაელშია" და ვარჯიშობს კიდეც. თუმც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გიუვენჩ ქურთარმა ჯანაშიას მისივე ასისტენტი სონერ ბოზი მიუჩინა. ეს უჩვეულო გვარის კაცი ფიზმომზადებაშია დახელოვნებული და ზაზასთვის წონის დაგდებისა და სათანადო ფორმის აღდგენისთვის გაირჯება. ჯანაშიას მხრიდან საქმეს თურქი აგენტი სულეიმან აკინი უძღვება. მან თურქულ გაზეთებთან ყბა მოაღო და ბრძანა, ყველამ კარგად იცის, ჩემი კლიენტი თუ რა ფეხბურთელია და ასეთი ზედმეტობები რადა საჭიროაო.

თურქულ პრესაში გაჩნდა ის ინფორმაციაც, რომ „ქოჯაელი" ჯანაშიასთან სამწლიანახევრიან კონტრაქტს გააფორმებს — მოსკოვის „ლოკომოტივი" კი საკომპენსაციო თანხას გამორჩება, ხოლო ჩვენ იმას შეგახსენებთ, რომ 1997 წლის თასების მფლობელთა თასის 1/8 ფინალში „ლოკომოტივმა" „ქოჯაელი" დასცა და თურქებს გოლი ჯანაშიამაც გაუტანა.



რევაზ ქემოკლიძე

## ბერმუდი ახალქართულად

### ტორპედო – ასათიანი – დინამო

ქუთაისის „ტორპედო" კი ამასობაში კიდევ ერთი ფეხბურთელის გასხვისებას აპირებს, მაგრამ მალხაზ ასათიანის თბილისის „დინამოში" გადასვლის საკითხი კვლავ დანისლულია. როგორც „დინამოს" სპორტულმა დირექტორმა გივი ნოდიამ გვითხრა, კლუბის ხელმძღვანელობა „ტორპედოს" უფროსობასთან კვლავაც აწარმოებს მოლაპარაკებას ასათიანის ტრანსფერისთვის. თუმც მეორე მხრიდან მხოლოდ ის გვესმის, რომ მათსა და „დინამოს" შორის ამ ეტაპზე ასათიანის თაობაზე მოლაპარაკებები შეწყვეტილია.

ასათიანის სატრანსფერო ფასი შეუთანხმებელია, „ტორპედოს" არანორმალური მადა გაეხსნა, თუ „დინამო" თავისი პატრონისგან საჭირო თანხას ვერ იღებს? ამ შეკითხვაზე პასუხს „დინამოს" დირექტორატისგან ველით — ივო შუშაკს, ვისგანაც „დინამოს" ჩემპიონთა ლიგაზე გაყვანას მოითხოვენ, ძალიან სურს ასათიანის თავისთან ხილვა და ეს ნიჭიერი ფეხბურთელიც „დინამოსკენ" იხედება.

**დავით თამართძილაძე**



მალხაზ ასათიანი

# ნესებრი ქვირია, ფოთი იაფი

## ფილიას უცხოური შეკრება ხელიდან გამოეცალა

**ფოთის „კოლხეთის"** თავკაცმა სოსო ფილიამ გუშინ გუნდი სამდღიან შვებულებაში გაუშვა. ფაზისელებმა საგაზაფხულოდ მზადების პირველი ეტაპი დაასრულეს და მწვრთნელის მიერ წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით შეკრება ბულგარულ ნესებრში უნდა გაეგრძელებინათ.

თითქოს კლუბის ხელმძღვანელობასთანაც ყველაფერი შეთანხმებული იყო, შეკრებისთვის აუცილებელი თანხებიც მოძიებული გახლდათ, მაგრამ ბოლო წამს უცხოური შეკრება ჩაიშალა და „კოლხეთიც" საქართველოში მომზადების იმედად დარჩა.

— კლუბს ფინანსურად უჭირს, ხელფასები გვაკლია და მშიერები ვართო, რომ ვიწუწუნოთ, არ ვიქნებით მართლები. უბრალოდ საბულგარეთოდ ფული დროულად ვერ გამოინახა, ნესებრში დაგვიანებით ჩასვლას კი აზრი ეკარგება, ამიტომ მზადებას საქართველოში გავაგრძელებთო — გვითხრეს გუშინ კოლხური კლუბის თავკაცებმა.

სოსო ფილია კი ზემოთ ნახსენებ სამ დღეს გუნდის საბოლოოდ დასაკომპლექტებლად გამოიყენებს და მერე შინაურ კედლებში მოწყობილ ორკვირიანი შეკრებაც დაიწყება.

**მამუკა ძგანტალიანი**



# კორღალიძე ახლებმა გააწბილეს

**საქართველოს** ცხრამეტწლამდელთა ნაკრებმა გუშინ გორში „დილასთან" საკონტროლო მატჩი ითამაშა და ხუთდღიანი შეკრებაც დაასრულა. ოთარ კორღალიძის ბიჭებმა მეთოთხმეტე ჩემპიონატის ქვეექვსეულში მობურთალ „დილასთან" ფრედ, 3:3 ითამაშეს.

თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ სულთანიშვილის გოლით, თუმც წონასწორობა პირველ ტაიმშივე აღდგა. გუშინწინ „დინამოსთან" ერთად კვიპროსული შეკრებიდან დაბრუნებულმა სანდრო იაშვილმა გუშინ ხელი, უფრო სწორად ფეხი, კორღალიძის გუნდსაც შეაშველა და ანგარიში პენალტით გაათანაბრა.

მეორე ტაიმში გიორგი ნოდარის ძე ჭელიძის ჯერი დადგა. მან ჯერ დააწინაურა სტუმრები, რასაც მასპინძელმა ხმალაძემ გათანაბრებისა კი მოაყოლა, მაგრამ ჭელიძემ მალევე ისევ მდევრის როლში დატოვა გორელები. ცხრამეტწლამდელებმა უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხეს. „დილას" ვეტერანმა ხორგუაშვილმა ზუსტი პენალტით საბოლოოდ მშვიდობა დააფიქსირა.



ოთარ კორღალიძე

ვლადიმერ ხაჩიძემ და ოთარ კორღალიძემ თამაში ასეთი შემადგენლობებით დაიწყეს:

*დილა: გ. სომხიშვილი, რ. ზმაძე, ლომიძე, რ. ხაჭაპურიძე, სულთანიშვილი, ჯობაძე, საყვარელიძე, ა. ხმალაძე, გ.ჩიტაია, ფეზუაშვილი, ლ. გოჩაშვილი;*

*19-წლამდელები: თოთლაძე, იმედაშვილი, ლ. ჭელიძე, კაშია, წილოსანი, ექონია, კაჭარავა, დარსანია, ხოჯავა, იაშვილი, მაჭავარიანი.*

მეორე ტაიმში ორივე გუნდის თავკაცმა თითქმის მთელი შემადგენლობა შეცვალა და თამაშის შანსი ყველა სამარქაფოს მისცა.

შეკრების დასასრულს ცხრამეტწლამდელთა ნაკრების თავკაცი თოთლაძის, იმედაშვილის, ექონიას, იაშვილისა და გიორგი ჭელიძის მზადყოფნით კმაყოფილი იყო. უფრო იმაზე წუხდა, ახალწვეულებმა არ გაამართლესო.

ცხრამეტწლამდელები თებერვალსა და მარტში კიდევ ხუთ-ხუთი დღით შეიკრიბებიან. 23 აპრილს კორღალიძის გუნდი ერთკვირიან იტალიურ შეკრებაზე გაემგზავრება, 2 მაისს კი ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ეტაპი იწყება.

**მამუკა ძგანტალიანი**

# რა ღირს ეს მატჩი?

## ლოკომოტივის ბუღალტერია

*გადაწყვეტილი ამბავია, ეროვნული ნაკრები უახლოეს ოთხ მატჩს „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართავს. მიუხედავად ჯერაც შეუთანხმებლობისა, ნაკრების ვაკეში გადაბარგება ორივე მხარისთვის ხელსაყრელი ვარიანტია — ფედერაციაც და რკინიგზაც მოგებული რჩება.*




**სფფ-სთვის** ბილეთების შემოსავლიდან თუნდაც ხუთი ათეული ათასის „ლოკომოტივისთვის“ მიცემა პრობლემა არ უნდა იყოს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბილეთების გაყიდვით შემოსული თანხა ყველაზე ცუდ ვარიანტში 200 ათასზე ნაკლები არ იქნება, მეორეც, სფფ-მ სოლიდური კომპენსაცია მიიღო — რუსეთთან ჩაშლილი მატჩით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას „ლოკომოტივი“ და თელასი გაინაწილებენ და მესამე — ფედერაციას უბრალოდ ალტერნატივა არა აქვს „ლოკომოტივის“ გარდა — 1000 ლუქსიანი ეროვნული სტადიონი საშარო და ფინანსურად წამგებიანი ვარიანტია. ფედერაციას ხის სკამებზე მაყურებელთა ვერმოხვედრის დამცავი მექანიზმი არ გააჩნია, რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, „ლოკომოტივზე“ 6-7 ათასით მეტი პლასტმასის სკამია და ელემენტარულ არითმეტიკას თუ მოვიშველიებთ, ოთხი მატჩის ჯამში „ეროვნულზე“ თამაშით სფფ 300-350 ათასი ლარით იზარალებს.

„ლოკომოტივისაც“ ვთქვათ. ასეთი სტადიონის შენახვა ერთობ ძვირი სიამოვნებაა და ვაკის სარბიელის შემოსავლის თითქმის ერთადერთ წყაროდ სანაკრებო მატჩები რჩება, ამიტომაც ვფიქრობთ, რომ შეთანხმება სფფ-სა და რკინიგზელებს არ უნდა გაუჭირდეთ.

რუსეთთან ჩაშლილი მატჩის სანაცვლოდ „ლოკომოტივის“ სტადიონს 13 ათასამდე ლარი დარჩა. არადა, გარიგების თანახმად, ვაკეში 50 ათასი ლარი უნდა დაეტოვებინა ფედერაციას. მავანი იტყვის, მერე რა, თამაში ჩაიშალა და 13 ათასი ლარი ურიგო თანხა არ არისო. ერთი შეხედვით ასეც ჩანს, მაგრამ მოდით, ვიკითხოთ, რა ჯდება ერთი სანაკრებო მატჩის მასპინძლობა. ამასთან დაკავშირებით „ლოკომოტივის“ ადმინისტრაციას, ბუღალტერიას დავუკავშირდით და გავარკვიეთ, რომ 13 ათას ლარიანმა შემოსავალმაც კი ზარალში ჩააგდო რუსთა სანახევროდ გამმასპინძლებელი ვაკელები.

რკინიგზელებმა სარუსეთო სამზადისი მატჩამდე ერთი თვით ადრე დაიწყეს. ხარჯის დიდი ნაწილი ელექტროენერგიაზე მოდის. „ლოკომოტივის“ 1400-ლუქსიანი პროჟექტორების 2 საათით ამუშავება 2000 ლარამდე ჯდება. მიუხედავად იმისა, რომ მატჩის ხანგრძლივობა ამ დროს არ აღემატება, თამაშის დღეს პროჟექტორებს სულ მცირე, 4 საათი უწევთ მოქმედ მდგომარეობაში ყოფნა. 12 ოქტომბერს რკინიგზელებმა მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე საცდელი ორსაათიანი ჩართვა მოახდინეს, მერე კი თამაშის დაწყებამდე 45 წუთით ადრე გააჩახჩახეს სტადიონი, რადგან გუნდები მოთელვაზე გამოდიოდნენ. ასე რომ, 12 ოქტომბერს დაახლოებით 4 ათასი ლარი დაიხარჯა მარტო განათებაზე. მატჩი რომ სრულად ჩატარებულიყო, ხარჯი უფრო მეტიც იქნებოდა. გასახდელების, საშხაპე წერტილების გათბობას, ბუნებრივია, გაზი სჭირდება. ამ მხრივ ყველაფერი იდეალურ მდგომარეობაში რომ იყოს, საათში 200 კუბური მეტრი აირია საჭირო — 12 ოქტომბერს იდეალური ვითარებისთვის 10-12 საათს ათბობდნენ საშხაპე-გასახდელებს. ეს თანხა დაახლოებით 800-900 ლარს უკაკუნებს. ისიც გავიხსენოთ, რომ ცხელი წყალი და თბილი გასახდელი მატჩის წინა ვარჯიშებზეც სჭირდებოდათ გუნდებს (11 ოქტომბრის გარდა საქართველოს ნაკრებმა 10-შიც ივარჯიშა), მოკლედ, გაზით სიამოვნება სარუსეთოდ 3000 ლარამდე დაჯდა. ამას ისიც დავუმატოთ, რომ რუსეთმა 11 ოქტომბერს განათებაზე ივარჯიშა, პროჟექტორები სამი საათით იყო ჩართული. ესეც 10 ათასი ლარი.

მოლარეების და კონტროლიორების ანაზღაურებაზეც ვთქვათ. ყველაფერი იდეალურად რომ განხორციელებულიყო, რკინიგზელებმა საამისოდ 4000 ლარამდე გაიღეს, თუმც გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს თანხა საკმარისი არ არის. ამით ყველაფერი არ დამთავრებულა. ადმინისტრაციას მატჩის მეორე დღესაც აქვს ხარჯი. სტადიონი დასალაგებელი და მოსაწესრიგებელია. ტერიტორიის დასუფთავება არცთუ იაფი ღირს — ამ პროცესს 3000 ლარამდე სჭირდება. მისახედია მოედნის საფარიც.

17 ათასი ლარის გარდა სხვა პატარ-პატარა ხარჯებიცაა. გუნდების, მსაჯების, უეფას წარმომადგენელთა მასპინძლობისთვის ხილი და მინერალური წყლებია საჭირო. რუსეთთან თამაშზე რკინიგზელებმა ეროვნული ჰიმნის საგაზეთო ვარიანტის დაბეჭდვაზეც იზრუნეს, თანხა საჭიროა წინასწარ გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვისაც. მოკლედ, ერთი მატჩის იდეალურად ორგანიზებისთვის საჭირო თანხა საქართველოში 20 ათას ლარს უწევს ამიტომაც არა გვგონია, რკინიგზელებმა თითოეული მატჩის სანაცვლოდ 50 ათას ლარზე ნაკლები მოითხოვონ. მით უფრო, რომ თორმეტმა ოქტომბერმა „ლოკომოტივი“ დიდად აზარალა. ტრანსფორმატორ-სტაბილიზატორის ავარიამ ვაკური სარბიელის მესვეურები დენის დამატებითი წყაროს შემოყვანის აუცილებლობის წინაშე დააყენა — ვაკის პარკიდან ასეულობით მეტრიანი კაბელების სტადიონზე შეყვანა ჯერაც არ დასრულებულა. ავარიისვე მიზეზით რკინიგზელებს ახალი, სოლიდურთანხიანი „ვოლვოს“ დიზელ-გენერატორებიც საყიდელი გაუხდათ და ზემოთ ნათქვამიც არ დაგვავიწყდეს — რკინიგზის დეპარტამენტმა თანხმობა განაცხადა ნარუსეთალი, ზარალნახული ფედერაციის ხარჯების ნაწილის დაფარვაზეც.

**პაატა ძმანტალიანი**






# სერიოზული ხუმარა

## ბრაიან კერი ერმა აირჩია და კინმა მოიწონა



ბრაიან კერის გამწვრთნელება ასე მიულოცეს

### ირლანდია

**„მე მინდა,** რომ ჩემს გუნდში საუკეთესო ირლანდიელი ფეხბურთელები თამაშობდნენ“ — ასე თქვა თავის პირველ პრესკონფერენციაზე ირლანდიის ნაკრების ახალმა მენეჯერმა ბრაიან კერმა.

საინტერესოა, რომ ეს იყო პასუხი კითხვაზე, დაუბრუნდება თუ არა ნაკრებს მისი კაპიტანი და ყველაზე ცნობილი ირლანდიელი ფეხბურთელი როი კინი, ერთადერთი მსოფლიო კლასის ფეხბურთელი ამ ქვეყნიდან.

აქამდე კინს ნათქვამი ჰქონდა, სანამ ნაკრებს მიკ მაკარტი წვრთნის, იქ ჩემი ფეხი აღარ იქნებაო.

მაკარტი—კინის სკანდალი ზაფხულის მთავარი თემა იყო, მაგრამ შემოდგომაზე მაკარტი თავად გადადგა უხეიროდ დაწყებული შესარჩევი ტურნირის შემდეგ. ასე რომ, როი კინი, ალბათ, ნაკრებს დაუბრუნდება და თბილისშიაც ჩამოვა საქართველოსთან სათამაშოდ.

ინგლისში დაბადებული მაკარტისგან განსხვავებით კერი სულით ხორცამდე ირლანდიელია, დუბლინშია დაბადებული და გაზრდილი. ის წარმატებით მუშაობდა ირლანდიის ახალგაზრდულ გუნდებთან და ეროვნული ნაკრების სათავეში თავად ერმა დანიშნა. ხალხის გამოკითხვებმა აჩვენა, რომ კერი ერთადერთი სახალხო კანდიდატი იყო და ბევრით უსწრებდა ისეთ ცნობილ მწვრთნელებს, ბრაიან რობსონი და კენი დალგლიში რომ გახლავან.

კერიმ ერთი კვირის წინათ შეიტყო, რომ ნიშნავდნენ. ის აბუდაბიში იყო და 20-წლამდელთა ნაკრებს პრესტიჟულ ტურნირში ხელმძღვანელობდა, სადაც ირლანდიელებმა ფრანგები დაამარცხეს. ახალი მწვრთნელის კონტრაქტი საშწლიანია, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევის ბოლომდე. მწვრთნელი წელიწადში 275 ათას ევროს მიიღებს, პრემიებთან ერთად კი 400 ათასი გამოუვა.

ბრაიან კერი ირლანდიის ისტორიაში ნაკრების რიგით მეათე დანიშნული მწვრთნელია. მას არასოდეს უთამაშია დიდი ფეხბურთი, რასაც მედია ნაკლად უთვლის. როი კინი ირლანდიის ნაკრებში სამოყვარულო განწყობას აკრიტიკებდა და ასეთი მწვრთნელის ხელქვეით ალბათ [illegible] იტყვისო წერენ გაზეთები.

თუმცა, კინს უთქვამს: „ბრაიანი დიდი ხუმარა კაცია, მაგრამ როცა სჭირდება, ის ძალიან სერიოზულია“.

კერი პირდაპირ ებმება ფიცხელ ბრძოლაში: მარტსა და აპრილში მისი გუნდი ალბანელებს და ქართველებს ხვდება.

ირლანდიელებს ორი წაგება აქვთ შესარჩევ ჯგუფში, მაგრამ ახალი კაცი ამბობს: „ძნელია, მაგრამ საჭირო ქულებს ავიღებთ. ეს შესაძლებელია“.

12 თებერვალს კერის ირლანდია ამხანაგურ მატჩში სტუმრობს შოტლანდიას.

**ირაკლი გამყრელიძე**



როი კინი, ალბათ, ნაკრებს დაუბრუნდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი გუდიონსენი და პატარა გუდიონსონი



ჩელსი — ლიდსი. ეიდურ გუდიონსენის მართლაც საოცარი მაკრატელა

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXV ტური

**ჩელსი 3:2 ლიდსი**

0:1 კიუელი (18), 1:1 გუდიონსენი (57), 1:2 ლუკიჩი (66), 2:2 ლამპარდი (80), 3:2 მატეო (83ს.კ.)
ჩელსი: კუდიჩინი, ბაბაიარო (კ. კოული 35), დესაი, ტერი, გალასი, ლე სო, ჯ. მორისი, ლამპარდი, გრონკიაერი, გუდიონსენი, ძოლა (ზენდენი 67)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, მილსი, მატეო, ლუკიჩი, უილკოქსი, ბაკე, ოკონი (ს. ჯონსონი 68), ა. სმიტი, ვიდუკა (მილნერი 80), კიუელი
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
გაფრთხილება: კოული, ლე სო, ბაკე
მსაჯი: უინტერი
39 738 მაყურებელი

**ბოლტონი 1:2 ევერტონი**

0:1, 0:2 უოტსონი (33, 39), 1:2 ფეისი (90)
ბოლტონი: იასკელაინენი, მენდი, ბერგსონი, ნგოტი (ფეისი 68), ჩარლტონი, რ. გარდნერი, ფრანდსენი, კამპო, ჯორკაეფი, პედერსენი (ნოლანი 46), რიკეტსი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
ევერტონი: რ. რაიტი, პისტონე, სტაბსი (იობო 78), ვეირი, ანსუორთი, უოტსონი, ტიე, ჯემილი, ნეისმიტი (პემბრიჯი 84), მაკბრაიდი, რაძინსკი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: მენდი, გარდნერი, უოტსონი
მსაჯი: სტაილზი
25 119 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:5 ასტონ ვილა**

0:1 ვასელი (24), 0:2 გუდიონსონი (31), 1:2 მაკარონე (33), 2:2 გრინინგი (35), 2:3 ბერი (48), 2:4 ვასელი (81), 2:5 დაბლინი (90)
მიდლსბრო: შვარცერი, კედრუ, ნ. დევისი, ვიდმარი, პარნაბი, გრინინგი, ბოატენგი, ჯერემი, ჟობი (შ. მერფი 69), მაკარონე, ნემეტი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ასტონ ვილა: ენკელმანი, დილანი, მელბერგი, იონსენი, ჯ. სამუელი, ჰიცლსპერგერი, გუდიონსონი (ლ. ჰენდრი 90), ბერი, ვასელი, დაბლინი, დ. მური (სტონტონი 78)
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
გაფრთხილება: ბოატენგი, გუდიონსონი, დაბლინი
მსაჯი: გალაჰერი
27 546 მაყურებელი

**სანდერლენდი 0:1 საუთჰემპტონი**

0:1 ბიტი (50)
სანდერლენდი: სორენსენი, მაკკარტნი, ბები (ტირლველი 64), კრადოკი, გრეი, არკა, მარკუს სტიუარტი (კაილი 71), გ. მაკკანი, კილბეინი (კლარკი 64), ფილიპსი, პროქტორი
მწვრთნელი: ჰოვარდ უილკინსონი
საუთჰემპტონი: ნიემი, ბენალი, პ. უილიამსი, მიხაელ სვენსონი, ტელფერი, ა. სვენსონი, ოკლი, დელაპი (ტესემი 36), ფ. ფერნანდესი (დოდი 70), ბიტი (კ. დევისი 87), მარსდენი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: პროქტორი
მსაჯი: ბერი
34 102 მაყურებელი

**შუა კვირაში** ჩატარებული პრემიერლიგის მორიგი ტურის ოთხი თამაში სამშაბათ საღამოს გაიმართა.

მთავარი და საუცხოო ამათგან იყო „სტემფორდ ბრიჯზე" გამართული შეხვედრა „ჩელსისა" და „ლიდსს" შორის, რომელსაც სტუმრები ორჯერ იგებდნენ და საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ.

წლეულს არეულმა „ლიდსმა" პირველ წრეში „ჩელსი" დაამარცხა და ლონდონშიაც მშვენივრად ირჯებოდა. საერთოდ, „სტემფორდ ბრიჯზე" იორკშირელებს თამაში გამოსდით და სცენარი თითქოს ნაცნობი იყო: მეკარე რობინსონმა თავისი ნახევრიდან ჯარიმა დაარტყა. ბურთი თავით მოიგო ვიდუკამ და საჯარიმოს შუაგულში გადაგზავნა, სადაც ჰარი კიუელმა მკერდით ჩამოიღო და ძირს დაუშვებლად გაგზავნა მასპინძელთა კარში.

ეს იყო პირველი ტაიმის მთავარი მომენტი და „ჩელსის" მცდელობათა მიუხედავად ტაიმი სტუმართა გამარჯვებით დასრულდა: რობინსონი გადაელობა ძოლას, კარლტონ კოულისა და ჯოდი მორისის დარტყმულებს.

მეორე ტაიმში მასპინძლებს ორი გმირი ჰყავდათ, ეიდურ გუდიონსენი და ფრენკ ლამპარდი. ეს უკანასკნელი მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და ლონივრად ჩააწოდა, რასაც გუდიონსენის ბრწყინვალე მაკრატელა მოჰყვა და ანგარიში გათანაბრდა. ამის შემდეგ ლიდსელები საქმეს დაუფათურდნენ და მარჯვედ ამოძრავდნენ კუდიჩინის კართან, რასაც ტედი ლუკიჩის გოლი მოჰყვა. „ლიდსმა" თითქოს თამაშის სადავეებიც დაიჭირა, მაგრამ მცველთა დაბნეულობამ ლამპარდს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა და „ჩელსიმ" იგრძნო, რომ თამაშის გარდატეხა შეეძლო. გუდიონსენმა მშვენიერი პასი გაუჭრა ლამპარდს, რომელმაც დაბალი და ულონო გაუშვა შორეულ კუთხეში. საჯარიმოში შევარდნილი ლიდსელთა კაპიტანი დომინიკ მატეო ბურთს თითქოს შეეჯახაო და საკუთარ კარში შეაგდო. „ჩელსიმ" 3:2 მოიგო.



სტივ უოტსონი

„ჩემი ორივე გოლი რიკოშეტის შედეგი იყო, თქვა ლამპარდმა, თუმცა, მატეო რომ არა, ბურთი მაინც შევიდოდა კარში".

მატეოზე საყვედური არ უთქვამს იორკშირელთა ნირწამხდარ მენეჯერ ტერი ვენეიბლზსაც.

„ისე ვითამაშეთ, რომ ქულა მაინც გვეკუთვნოდა" — ამოიოხრა მან — „ბედმა გაგვწირა, ბოლოს და ბოლოს ორჯერ ვიგებდით".

ამ მარცხმა „ლიდსი" მეცამეტე ადგილზე ჩამოაგდო, რადგან მიდლსბროს „რივერსაიდზე" საოცრება მოახდინა „ასტონ ვილამ", რომელმაც მასპინძლებს 5:2 მოუგო და მე-12 ადგილამდე ავიდა, „ბორო" კი მე-14-ზე დატოვა.

მთელი სეზონის განმავლობაში „ვილას" სტუმრად არ მოეგო და მხოლოდ 4-ჯერ გაეტანა უცხო სტადიონებზე, „ბორო" კი შინ ჯერ არ დამარცხებული იყო. თამაში უცნაური გამოდგა: პირველი ნახევარი საათის შემდეგ „ვილა" ორი ბურთით იგებდა დარიუს ვასელისა და იოი გუდიონსონის წყალობით, მაგრამ 35-ე წუთისთვის ანგარიში უკვე 2:2 იყო. თამაშის გარდამტეხი გამოდგა მეორე ტაიმის დასაწყისი, როცა სტუმართა მცველმა გარეთ ბერიმ ზუსტად დაარტყა. დანარჩენი ორი გოლი ბირმინგემელებმა ბოლო ათ წუთში გაუტანეს უკვე გატეხილ მასპინძლებს.

გამარჯვებული წავიდა სანდერლენდიდან „საუთჰემპტონი". მთავარმეგოლე ჯეიმს ბიტიმ გრძელი პასი მიიღო, მასპინძელთა მეკარე სორენსენი დააწვინა და შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა. „აქ ცხოვრება უფრო ძნელი ყოფილა, ვიდრე წარმომედგინა" — თქვა „სანდერლენდის" სამი თვის წინათ დანიშნულმა მენეჯერმა ჰოვარდ უილკინსონმა.

„სანდერლენდივით" მძიმე დღეში მყოფმა „ბოლტონმა" ასევე შინ წააგო. „ევერტონის" სტივ უოტსონმა პირველ ტაიმშივე გაიტანა ორი გოლი, რომელთაგან პირველი ულამაზესი იყო. ბოლტონელთა ერთადერთი საპასუხო კი გვიანი გამოდგა.

ირაკლი გამყრელიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 24 | 16 | 4 | 4 | 52:25 | 52 |
| მანჩესტერი | 24 | 14 | 5 | 5 | 40:24 | 47 |
| ნიუკასლი | 24 | 14 | 3 | 7 | 40:31 | 45 |
| ჩელსი | 25 | 12 | 8 | 5 | 44:25 | 44 |
| ევერტონი | 25 | 12 | 6 | 7 | 32:30 | 42 |
| საუთჰემპტონი | 25 | 10 | 9 | 6 | 28:23 | 39 |
| ლივერპული | 24 | 10 | 8 | 6 | 32:23 | 38 |
| ტოტენჰემი | 24 | 11 | 5 | 8 | 35:34 | 38 |
| ბლექბერნი | 24 | 8 | 10 | 6 | 30:26 | 34 |
| სიტი | 24 | 10 | 4 | 10 | 32:34 | 34 |
| ჩარლტონი | 24 | 9 | 6 | 9 | 30:32 | 33 |
| ასტონ ვილა | 25 | 9 | 5 | 11 | 27:27 | 32 |
| ლიდსი | 25 | 9 | 4 | 12 | 33:32 | 31 |
| მიდლსბრო | 25 | 8 | 6 | 11 | 29:29 | 30 |
| ფულემი | 23 | 7 | 6 | 10 | 24:27 | 27 |
| ბირმინგემი | 24 | 6 | 8 | 10 | 20:32 | 26 |
| ბოლტონი | 25 | 4 | 9 | 12 | 25:41 | 21 |
| სანდერლენდი | 25 | 4 | 7 | 14 | 16:35 | 19 |
| ვესტ ბრომვიჩი | 23 | 4 | 5 | 14 | 17:35 | 17 |
| ვესტ ჰემი | 24 | 3 | 8 | 13 | 26:47 | 17 |

### I დივიზიონი გადადებული მატჩი

**რედინგი 1:3 ლესტერი**

0:1, 0:2 დიკოვი (17, 26პ), 0:3 ჰითი (34), 1:3 ბ. ჰიუზი (54)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 30 | 17 | 10 | 3 | 56:30 | 61 |
| ლესტერი | 30 | 17 | 7 | 6 | 47:30 | 58 |
| შეფილდი | 28 | 16 | 7 | 5 | 43:26 | 55 |
| ქოვენთრი | 30 | 12 | 10 | 8 | 38:32 | 46 |
| ნოტინგემი | 30 | 12 | 9 | 9 | 44:31 | 45 |
| ნორვიჩი | 29 | 12 | 8 | 9 | 39:27 | 44 |
| როტერჰემი | 30 | 12 | 8 | 10 | 50:39 | 44 |
| იფსვიჩი | 29 | 12 | 8 | 9 | 46:35 | 44 |
| კრ. პალასი | 29 | 10 | 13 | 6 | 43:31 | 43 |
| რედინგი | 29 | 13 | 4 | 12 | 29:29 | 43 |
| უოტფორდი | 30 | 12 | 7 | 11 | 35:45 | 43 |
| ვულვზი | 29 | 11 | 9 | 9 | 46:32 | 42 |
| მილუოლი | 30 | 11 | 8 | 11 | 39:45 | 41 |
| ბარნლი | 29 | 11 | 8 | 10 | 43:50 | 41 |
| ჯილინგემი | 28 | 10 | 10 | 8 | 38:38 | 40 |
| დერბი | 30 | 11 | 5 | 14 | 36:42 | 38 |
| უიმბლდონი | 28 | 9 | 9 | 10 | 43:43 | 36 |
| ბრედფორდი | 29 | 9 | 7 | 13 | 37:51 | 34 |
| პრესტონი | 30 | 7 | 11 | 12 | 42:51 | 32 |
| უოლსოლი | 30 | 8 | 6 | 16 | 40:47 | 30 |
| გრიმსბი | 30 | 7 | 7 | 16 | 37:57 | 28 |
| უენსდი | 30 | 6 | 8 | 16 | 29:48 | 26 |
| სტოკი | 30 | 5 | 9 | 16 | 34:56 | 24 |
| ბრაიტონი | 29 | 5 | 8 | 16 | 27:46 | 23 |



დანფერმლაინი — დანდი. ბარი ნიკოლსონმა სტუმრებს გოლი უფეშქაშა

# დაცვა დაფისა ადაფთაფდა
## და რა შუაშია აქ ფოგთსი?

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XXV ტური

**დანფერმლაინი 0:1 დანდი**

0:1 ნიკოლსონი (13ს.კ.)
დანდი: სპერონი, სმიტი, უილკი, ხიზანიშვილი, მაირი, მაკკეი, ნემსაძე, რაე, ბრედი, კაბალიერო (ნოვო 68), მილნი (რობერტსონი 68)
მწვრთნელი: ჯიმ დაფი
4 237 მაყურებელი

**აბერდინი 0:1 ჰართსი**

0:1 უელსი (90)

**პარტიკი 1:3 ლივინგსტონი**

0:1 ენდრიუსი (35), 1:1 ბარნსი (39), 1:2 ზარატე (70), 1:3 მაკმინამინი (80)

**ზამთრის** შესვენებამოლეულმა სქოთებმა პრემიერლიგის ტური ორად გაჰყვეს და პირველი დღე სტუმრების გამოდგა.

ვთქვათ, რომ „დანდის" გამარჯვება არცთუ ჩვეულებრივი ამბავია — ჯიმ დაფის გუნდი გასვლაზე ხომ ტრადიციულად უფხოდ და უშედეგოდ თამაშობს.

დანდელებს შოტლანდიის ნაკრებისა და „დანფერმლაინის" შუახაზელი ბარი ნიკოლსონი გამოექომაგა — ბერტი ფოგთსის მოწონებული მოყმე სტივენ მილნის ჩაწოდებული ბურთისთვის ფოგთსის დაწუნებულ გევინ რაეს ეპაექრებოდა და ავტოგოლი ასე მიითვალა — ყოველივე სიმბოლურ მე-13 წუთზე მოხდა.

არადა, „დანფერმლაინი" მთელი ტაიმნახევარი ჯიუტად ფლობდა ბურთს, მერე თავისებურ ავანტიურაზეც კი წავიდა — მენეჯერმა ჯიმი გოლდერვუდმა ტაქტიკური სქემა 2-4-4-ზე გადააწყო, მაგრამ ვერც ამან გასჭრა.

ჯიმ დაფიმ მყისვე აუღო ალღო სიტუაციას და პასუხად მოედანზე ნოვო და რობერტსონი შეუშვა, რამაც მეტოქე გუნდის დამრიგებლის ჩანაფიქრი ჩაფერფლა.

შედეგად, „დანფერმლაინს" ერთადერთი საგოლე მომენტი შეექმნა, მაგრამ ჯულიან სპერონიმ იყოჩაღა.

„ეს გამარჯვება, ასე ვთქვათ, შევაკოწიწეთ, რაც ჩვენი გუნდისთვის იშვიათობაა. როგორც მწვრთნელი, აღფრთოვანებული ვარ იმ ორგანიზებულობით და მდგრადობით, რაც დაცვაში ვაჩვენეთ. ვფიქრობ, ძალიან მაგრად ვიომეთ" — ასეთი გახლდათ დაფის მატჩისშემდგომი კომენტარი.

დავით თავართქილაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 24 | 20 | 3 | 1 | 68:18 | 63 |
| სელტიკი | 24 | 19 | 3 | 2 | 63:16 | 60 |
| ჰართსი | 25 | 11 | 7 | 7 | 41:41 | 40 |
| დანფერმლაინი | 24 | 11 | 3 | 10 | 39:42 | 36 |
| ჰიბერნიანი | 24 | 10 | 4 | 10 | 36:36 | 34 |
| კილმარნოკი | 24 | 9 | 6 | 9 | 26:36 | 33 |
| დანდი | 25 | 7 | 7 | 11 | 29:39 | 28 |
| ლივინგსტონი | 25 | 7 | 5 | 13 | 34:37 | 26 |
| პარტიკ თისლი | 25 | 5 | 9 | 11 | 26:40 | 24 |
| აბერდინი | 25 | 5 | 9 | 11 | 21:39 | 24 |
| მოზერუელი | 23 | 4 | 6 | 13 | 28:41 | 18 |
| დანდი იუნ. | 24 | 3 | 8 | 13 | 20:46 | 17 |

სარბიელი
სამუშაოდ
იწვევს
გაზეთში ნამუშევარ
დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის"
რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,
II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# ტელევიზია ზარალია

## მარსელი იგებს, მისი პრეზიდენტი აგებს

### საფრანგეთი

**I დივიზიონი. XXIV ტური**

**მარსელი 2:0 ნიცა**

**1:0 ვან ბუიტენი (45), 2:0 სიჩევი (87)**

**გასულ უქმეებზე** სტუმრად პსჟ-სთან გამართული 120-წუთიანი ბრძოლის მიუხედავად, „მარსელმა" „ნიცას" მოსარჯულებლად ძალები მაინც გამოჩნრიკა. პირველ წრეში ლაჟვარდოვანებმა იმარჯვეს და მათი მეტოქე სარევანშოდ დაგეშილი იყო.

პარიზული მატჩის კვალი მასპინძლებს თითქოს არც ეტყობოდათ. მთელი შეხვედრის განმავლობაში ლაღად უტევდნენ, თუმცა „ველოდრომზე" თავშეყრილმა გულშემატკივრებმა პირველ ტაიმში გოლი ვერ იხილეს.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა სტუმრებს გახურება არ აცალეს. ერთ-ერთი შეტევისას ჯონი ეკერმა დამიენ გრეგორინის დაურტყა. მეკარემ ბურთი უკუაგდო და ბელგიელმა მცველმა დანიელ ვან ბუიტენმა დასწრებაზე უნაკლოდ დაჰკრა.

მარსელელმა ქომაგებმა მეორე გოლსაც კარგა ხანს უცადეს. 81-ე წუთზე ლამინ საკოს ნაცვლად ალან პერენმა დმიტრი სიჩევი შეუშვა. რუს ფორვარდს ხუთი წუთი დასჭირდა იმის დასამტკიცებლად, რომ ის უკვე სულ ცოტა, ორჯერ ხუთ წუთს მაინც იმსახურებს მწვრთნელისგან. სიჩევმა სალომონ ოლემბეს პასი გოლად აქცია და ნერვული ატმოსფერო დააცხრო.

თავი შეცვლაზე შესულმა მეორე მეგოლემ, იბრაჰიმ ბაკაიოკომაც გამოიჩინა, ოღონდ მას საგოლედ არ მოუქნევია. სტუმართა კაპიტანს, ჟოზე კობოსს მაშინ ეუხეშა, მსაჯმა პასკალ გარიბიანმა ფილტვები დასასტვენად რომ გაავსო. გარიბიანს დასტვენამ ორჯერ მოუწია — ჯერ ბაკაიოკო „შესვა" წითელ ბარათზე და მოედნიდან გააჭენა, მერე კი დაშლა-მოშლისა ჩაჰბერა.

და კიდევ, საფრანგეთის პროფესიულ საფეხბურთო ლიგასთან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად მატჩი ტელეკომპანია CANAL+-ს უნდა გადაეცა. ოპერატორები თავისი ავლადიდებით კი მივიდნენ „ველოდრომზე", მაგრამ „მარსელის" პრეზიდენტმა კრისტოფ ბუშემ მათ ტრანსლაცია აუკრძალა. ბუშეს თქმით, ხალხი სტადიონზე აღარ მიდის და ტელევიზორში ყურებას არჩევს. ამჯერადაც „ნიცას" სანახავად მხოლოდ 5 ათასამდე ბილეთი იყო გაყიდული.

ტელეკომპანიის წარმომადგენლებმა მხრები აიჩეჩეს, ჩვენ პროფესიულ საფეხბურთო ლიგასთან კონტრაქტი გვაკავშირებს და ვალდებულებას ვასრულებთო, რაზეც ბუშემ მიუგო — ისედაც ბევრი ვიზარალე ცარიელი ტრიბუნების გამო და საკმარისიაო.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 24 | 12 | 6 | 6 | 25:20 | 42 |
| ლიონი | 23 | 11 | 6 | 6 | 41:28 | 39 |
| ნიცა | 24 | 10 | 9 | 5 | 28:18 | 39 |
| ოსერი | 22 | 10 | 7 | 5 | 22:17 | 37 |
| მონაკო | 23 | 9 | 9 | 5 | 33:21 | 36 |
| სოშო | 22 | 9 | 7 | 6 | 24:18 | 34 |
| გენგამი | 23 | 10 | 4 | 9 | 33:32 | 34 |
| პსჟ | 23 | 8 | 9 | 6 | 30:21 | 33 |
| ბორდო | 22 | 9 | 6 | 7 | 30:22 | 33 |
| ლანსი | 22 | 8 | 8 | 6 | 23:20 | 32 |
| ნანტი | 21 | 9 | 4 | 8 | 27:25 | 31 |
| ბასტია | 23 | 9 | 4 | 10 | 24:28 | 31 |
| სტრასბური | 22 | 8 | 7 | 7 | 25:31 | 31 |
| ლილი | 22 | 7 | 7 | 8 | 20:27 | 28 |
| რენი | 23 | 7 | 5 | 11 | 21:26 | 26 |
| სედანი | 22 | 6 | 6 | 10 | 24:34 | 24 |
| აიაჩო | 23 | 5 | 8 | 10 | 18:28 | 23 |
| ლე ავრი | 23 | 5 | 8 | 10 | 16:26 | 23 |
| მონპელიე | 23 | 3 | 9 | 11 | 19:31 | 18 |
| ტრუა | 22 | 3 | 7 | 12 | 14:24 | 16 |

**II დივიზიონი**

23-ე ტური: ლე მანი — ლორიანი 0:1; მეცი — ისტრი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 22 | 12 | 5 | 5 | 29:14 | 41 |
| ლორიანი | 23 | 12 | 4 | 7 | 28:23 | 40 |
| ლე მანი | 22 | 11 | 6 | 5 | 28:19 | 39 |
| მეცი | 22 | 10 | 6 | 6 | 26:19 | 36 |
| შატორუ | 21 | 10 | 6 | 5 | 25:19 | 36 |
| გრენობლი | 22 | 8 | 9 | 5 | 28:14 | 33 |
| ნიორი | 22 | 9 | 5 | 8 | 25:22 | 32 |
| კრეტეი | 20 | 6 | 10 | 4 | 26:22 | 28 |
| ლავალი | 20 | 7 | 6 | 7 | 21:22 | 27 |
| ამიენი | 21 | 7 | 6 | 8 | 16:17 | 27 |
| ვალანსი | 21 | 7 | 5 | 9 | 24:24 | 26 |
| კლერმონი | 21 | 7 | 5 | 9 | 23:30 | 26 |
| ბოვე | 20 | 6 | 6 | 8 | 11:12 | 24 |
| ვასკეალი | 21 | 5 | 9 | 7 | 16:20 | 24 |
| სენტ ეტიენი | 20 | 5 | 7 | 8 | 15:17 | 22 |
| კაენი | 21 | 4 | 10 | 7 | 23:27 | 22 |
| რეიმსი | 21 | 4 | 10 | 7 | 17:22 | 22 |
| ისტრი | 22 | 5 | 7 | 10 | 20:40 | 22 |
| გენიონი | 20 | 5 | 6 | 9 | 15:22 | 21 |
| ნანსი | 20 | 4 | 6 | 10 | 16:27 | 18 |



REUTERS მარცხნიდან

მარსელი — ნიცა. სალომონ ოლემბემ სტუმარ სედრიკ ვაროს გადააბიჯა



იოვან სტანკოვიჩი და მადრიდელები ხავი გარსიამ და მისმა თანაგუნდელებმა ნახევარფინალისკენ არ გაუშვეს

# უი, უელვა!

### ესპანეთი

**თასის 1/4 ფინალი**

**საპასუხო მატჩი**

**ატლეტიკო 0:0 უელვა (0:1)**

„უელვამ" გაუვალი ლაცვა აღმართა, მადრიდის „ატლეტიკოსთან" 0:0 ითამაშა და ესპანეთის, ანუ სამეფო თასის ნახევარფინალში გავიდა.

ეს შეხვედრა „ვისენტე კალდერონზე" ჩატარდა. პირველი თამაშის ანგარიში „უელვას" სასარგებლო გახლდათ, 1:0. ამრიგად, „ატლეტიკოს" სათასო ოცნება დაიმსხვრა, ხოლო უელველებმა ისტორიაში ყველაზე დიდ შედეგს მიაღწიეს.

ბუნებრივია, მასპინძლებმა შეტევას დიდძალი ძალა შეალიეს, მაგრამ აბსოლუტური უპირატესობისა და ხშირად ბურთის ჩინებული გათამაშების მიუხედავად, ლუის არაგონესის ფეხბურთელებმა მთავარი, გოლის გატანა ვერ შეძლეს.

მე-7 წუთზე ხოსე მარიმ იხელთა მომენტი, მაგრამ ცუდად დაარტყა, მალე კი ლუის გარსიამ თავით გადაავლო ბურთი მიზანს.

როდესაც შესვენებამდე სამი წუთით ადრე გარსიამ „უელვას" მეკარისთვის, ხოსე ლუკესთვის ბურთის პირდაპირ მირტყმაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, „ატლეტიკომ" ღელვა დაიწყო.

შესვენების შემდეგ, პირველსავე წუთზე, დემეტრიო ალბერტინიმ ძელს გაარტყა ბურთი, შემდეგ კი მომენტებმა იკლო. რაც შეეხება „უელვას", მას შეტევაზე გადასვლა, ფაქტობრივად, არ უცდია. ერთი ის იყო, რომ პირველ შეხვედრაში შეგდებული გოლის ავტორმა, ემილიო ვიკიერამ 64-ე წუთზე ჯარიმა შეასრულა სახიფათოდ.

**პაპუნა ძედია**

# კარლო კუდიჩინის ამბების კუდეში



აი, ეს ესროლეს კუდიჩინის

**შრიუსბერი** ის ადგილია, სადაც 26 იანვარს ასოციაციის თასის მატჩისთვის „ჩელსი" ჩავიდა და 4:0 მოიგო, ხოლო მთავარი ამბავი სულ სხვა გახლდათ — ლონდონელთა მეკარე კარლო კუდიჩინის რაკეტამ ჩაუსისინა.

პოლიცია გამოძიებას შეუდგა და რაღაც დასკვნები გამოიტანა კიდეც. რაკეტის მაგვარი ნაკეთობა კუსტარული აღმოჩნდა — ეს ლითონის საგანი ერთი ინჩი დიამეტრისაა, ხოლო სიგრძით სამჯერ მეტი.

პოლიციამ ისიც თქვა, თვითნაკეთი რაკეტა ტრიბუნაზე რომ ჩავარდნილიყო, ვიღაც უთუოდ დაშავდებოდა და შესაძლოა, უარესიც მომხდარიყო.

გამოძიებამ ისიც დაადგინა, რომ რაკეტა ჰაერში აფეთქდა და არა მინდორზე დაშვებისას, თუმც ბალახზე დავარდნილი ხელსაწყო კვლავაც გავარვარებული გახლდათ.

ხოლო ვერსია, რომ სტინგერი სტადიონთან ახლოს მოლაზლაზე მდინარის გაღმიდანაა ნასროლი, კიდევ უფრო გაძლიერდა.

მოკლედ, გამოსაძიებელი ისღა დარჩა, თუ ვინ და რა მიზნით ტყორცნა რაკეტა.

**დავით თავართქილაძე**

# სამხრეთ ამერიკის ახალგაზრდული ჩემპიონატი (20-წლამდელები)



REUTERS მონტევიდეოდან

არგენტინას ჩემპიონი ახალგაზრდები ეზრდება

**პლეი ოფი. V ტური**

**არგენტინა 1:0 კოლუმბია**

**პარაგვაი 3:2 ეკვადორი**

**ურუგვაი 1:2 ბრაზილია**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 5 | 3 | 2 | 0 | 8:2 | 11 |
| ბრაზილია | 5 | 3 | 1 | 1 | 8:5 | 10 |
| პარაგვაი | 5 | 2 | 3 | 0 | 8:6 | 9 |
| კოლუმბია | 5 | 2 | 1 | 2 | 9:7 | 7 |
| ურუგვაი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| ეკვადორი | 5 | 0 | 0 | 5 | 4:15 | 0 |

*არგენტინა, ბრაზილია, პარაგვაი და კოლუმბია გავიდნენ მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატზე, რომელიც გაიმართება არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში*

საქართველოში პირველი
სპეციალიზებული სალონ-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები Zeus ზევსი
- კია 42GEL
- ბურთები 178GEL
- მაუდი 112GEL
- მაგიდის განათება 181 GEL
- კიის თარო 24GEL
- თარები ბურთებისთვის 47GEL
- ჩალითები კიისთვის 19GEL
- ცარცი, რეზინი 1.3GEL
900 GEL-დან
მასტერი Master
დახმარება საბილიარდოს გახსნისას, კონსულტაცია, გარანტია, მასდაკლება
ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, უზნაძის ქ. 2 (ყოფ. კამოს)
11.00-19.30 ორშ-შაბ კვირის გარდა





საქმეს ისეთი პირი უჩანს, რობი ფაულერი „სიტისკენ“ გასწევს, ჯონათან ვუდგეიტი „ნიუკასლისკენ“

# სულ ყველაფერს ვყიდი, მე!

## ლიდსის თავზე კაჭკაჭები დაფრინავენ

„ლიდსის“ მწვრთნელმა ტერი ვენეიბლზმა განაცხადა — „მანჩესტერ სიტისთან“ რობი ფაულერის ფასზე შევთანხმდით. ეს „სტემფორდ ბრიჯზე“, „ჩელსისთან“ 2:3 წაგების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მოხდა.

„მე კი მინდა ყველა ფეხბურთელი შევინარჩუნო, მაგრამ სამწუხაროდ, ამდენად მდიდრები არ ვართ“ — თქვა ვენეიბლზმა.

ისე, ფაულერის „სიტიში“ გადასვლას ჯერ კიდევ თვის დასაწყისში ელოდნენ. თანხაც არ იყო დამალული, 11,47 მილიონ გირვანქაზე ლაპარაკობდნენ და მხოლოდ მოთამაშის სამედიცინო შემოწმებასღა ელოდნენ. შემდეგ კი ტრანსფერი რატომღაც გაიწელა, რის გამოც თვით „სიტის“ თავკაცი, კევინ კიგანი აღშფოთდა. კიგანი საკუთარი კლუბის ჩინოვნიკებს გაუწყრა, რადგან თავდასხმაში ფაულერისა და ნიკოლა ანელკას წყვილის ამოქმედება ეჩქარებოდა.

შეგახსენებთ, რომ ფაულერი „ლიდსში“ 11 მილიონ გირვანქად „ლივერპულიდან“ გადავიდა, მაგრამ მთელი 14 თვის განმავლობაში იწვალა, რადგან ფეხი სტკიოდა, ოპერაციაც კი დასჭირდა.

ნაოპერაციევი მოედანს დეკემბერში დაუბრუნდა, ოღონდ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდა. ჯამში კი 27 წლის თავდამსხმელმა „ლიდსის“ შემადგენლობაში 24 შეხვედრაში 14 გოლი შეაგდო.

შედარებისთვის: ცხრანახევარ წელიწადში ლივერპულელმა ფაულერმა 171-ჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი. ინგლისის ნაკრებში მას 26 თამაში აქვს ჩატარებული.

რაც შეეხება ხელფასს, ითქვა, რომ „მანჩესტერ სიტიში“ თავდამსხმელი კვირაში 40 ათასს მიიღებს. კონტრაქტი კი 3,5 წლიანია.

საინტერესოა, რომ იმავე საღამოს „სტემფორდ ბრიჯზე“ „ნიუკასლ იუნაიტედის“ თავმჯდომარე, ფრედი შეფერდიც ბრძანდებოდა. ცხადია, „ჩელსის“ და „ლიდსის“ თამაშის ნახვა მას ტელევიზორითაც შეეძლო, მაგრამ ამ შემთხვევაში „ლიდსის“ თავმჯდომარეს, პიტერ რიდსდეილს ველარ დაელაპარაკებოდა. საუბრის საგანი კი ჯონათან ვუდგეიტი და 10 მილიონი გირვანქა გახლდათ.

უცნაური საქმე ის არის, რომ „ლიდსის“ განცხადებით, „ნიუკასლს“ ვუდგეიტის შეძენის სურვილი ოფიციალურად არ გამოუთქვამს, ანუ წერილი არ დაუწერია, „ნიუკასლი“ კი აცხადებს, რომ ასეთი წერილი „ლიდსის“ ოფისში, მაგიდაზე დევს.

სასეირო ამბავია: როდესაც ერთი ხნის წინ შეფერდმა რიდსდეილს 5 მილიონი შესთავაზა და უთხრა ვუდგეიტი მომყიდეო, რიდსდეილმა მიუგო, მაშინ შენ შირერი, ბელამი, ჯინასი და დაიერი მომეციო. შეფერდმა, ცხადია, ხელები გაასავსავა.

ამასობაში კი „ლიდსის“ ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა და, როგორც ზემოთ ვნახეთ, რიდსდეილს ფულის საშოვნელად ფაულერის „სიტისთვის“ მიყიდვა მოუხდა.

ერთი სიტყვით, დღეს ასეთი ვითარებაა: „ლიდსი“ ვუდგეიტში 10 მილიონ გირვანქას ითხოვს და კაპიკის დაკლებას არ აპირებს. „ნიუკასლი“ კი სულაც არ გამორიცხავს, რომ უახლოეს რამდენიმე დღეში „არსენალს“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ ტიტულისთვის ბრძოლაში კონკურენცია გაუწიოს. მოკლედ, „კაჭკაჭებს“ გაძლიერება ძალიან სჭირდებათ.

აი, რას ამბობს „ნიუკასლის“ მეკარე შეი გივენი:

„მომავალ სეზონშიც ჩემპიონთა ლიგაში უნდა ვიყოთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ლიგა კლუბს ფულსაც მატებს და კარგი ფეხბურთელების ყურადღებასაც იპყრობს, ამისთვის კი, უპირველესად, სტუმრად უკეთ თამაში უნდა ვისწავლოთ“.

გაიმეტებს თუ არა შეფერდი 10 მილიონს, ამ დღეებში გამოჩნდება.

**ბაკურა ძიდია**

# ვაარგაა ივარგა

## რებროვი თურქს მუქთად მისცემს

**სერგეი რებროვის** ტანჯვას ბოლო მოეღო. ის სტამბოლის „ფენერბაჰჩეს“ ლურჯ-ყვითელი მაისურით შემოსეს.

ჩია უკრაინელი ფორვარდი 2000 წლის ზაფხულში ლონდონის „ტოტენჰემში“ რომ გადავიდა, მაშინ იქ ჯორჯ გრემი მუშაობდა. გრემის გუნდში რებროვმა ცხრა გოლიც გაიტანა, მაგრამ „მამლებში“ გლენ ჰოდლის მისვლის შემდეგ ფეხბურთელის საქმეები აიწეწა და ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდებოდა.

სათადარიგო სკამის ხეხვა რებროვს კი მოსწყინდა, მაგრამ ლონდონურ კლუბს 11 მილიონ გირვანქად შეძენილი მეგოლის კაპიკებში გაყიდვა არ ეწადა. სერგეი უქმად იჯდა, მისი ფასი კი ყოველდღიურად ეცემოდა.

„ტოტენჰემის“ ბოსებს ორიოდ კვირის წინ თურქები შეეხმიანენ და უკრაინელის ამბავი გამოჰკითხეს. ინგლისელებს სტამბოლელთა სიტყვა ჭკუაში დაუჯდათ. დასხდნენ, მიეღ-მოეღნენ და სერგეი რებროვი „ფენერბაჰჩეს“ გადაულოცეს.

სტამბოლში ჩასულმა ფეხბურთელმა თქვა: „მართალი გითხრათ, მსგავს დახვედრას ნამდვილად არ ველოდი. შევეცდები, ქომაგები არ გავაწბილო. მადლობელი ვარ ახალი კლუბის, რომ ჩემი დიდხანს უთამაშებლობა არად ჩააგდეს და მენდნენ. ვიცი, რომ „ფენერბაჰჩე“ მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. ვფიქრობ, გუნდი ჩემპიონთა ლიგაში შეაღწევს, რომელიც ძალიან მომენატრა. ცხადია, თურქეთი ინგლისთან, იტალიასთან და ესპანეთთან ვერ მივა, მაგრამ მე საქმე ასარჩევად არ მაქვს. „ფენერბაჰჩეს“ მთავარ მწვრთნელს ძირითადი შემადგენლობისთვის ვუნდივარ და მასთან სიამოვნებით ვითამაშებ“.

სერგეი რებროვს სტამბოლში 10-ნომრიანი ლურჯ-ყვითელი სამოსი დახვედრეს. შეიძლებოდა, ეს საქმე უფრო ადრეც გაჩარხულიყო, მაგრამ „ტოტენჰემის“ თავკაცნი მოლაპარაკებებს შეგნებულად აჯანჯლებდნენ, რათა თურქთათვის უფრო მეტი ფული დაეცინცლათ.

ფეხბურთელის აგენტმა შანდორ ვარგამ პირადი კონტრაქტის დეტალები არ გაამხილა. ერთი კი ცნობილია — რებროვი „ფენერბაჰჩეში“ წელიწადნახევარს დაჰყოფს. „ტოტენჰემი“ სანაცვლოდ ქირას მიიღებს. შემდგომში, თუ თურქული მხარე მოისურვებს, უკრაინელს საბოლოოდ გამოისყიდის.

გარდა ზემოთ ნათქვამისა, რებროვმა, ცხადია, სტამბოლი აქო და „ფენერბაჰჩე“ ცაში აიყვანა. ისიც დასძინა, შევჩენკოსთან გვერდიგვერდ თამაში მომენატრაო.

ენის მოქავების შემდეგ რებროვის აგენტი შანდორ ვარგა თურქ ჟურნალისტებს საჩუქრად... მუქთა ინტერვიუებს დაჰპირდა. ვარგამ ბრძანა, რომ ინგლისში სერგეისთან ინტერვიუ ჟურნალისტებს დაახლოებით სამი ათასი დოლარი უჯდებოდათ, თქვენთვის კი უფასო იქნებაო.

ლაილაის ბოლოს ჟურნალისტებმა „ფენერბაჰჩეს“ მწვრთნელის ტაქტიკური მონახაზი 4-2-3-1 რებროვს აჩვენეს და ჰკითხეს, შენ ადგილს სად ხედავო — სამეულშიო, მიუგო ფეხბურთელმა და იქვე დაამატა, მწვრთნელი როგორც მიბრძანებს, ისე ვითამაშებო. იმ სამეულში ერთი არიელ ორტეგაა, მეორე კი რებროვზე ადრე სტამბოლში ჩასული რუსეთის ნაკრების ფორვარდი ვლადიმირ ბესჩასტნიხი.

**რომან თურქია**




## თურქეთი

**გადადებული მატჩი**

**დენიზლი 2:1 ანკარაგიუჯიუ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 17 | 12 | 5 | 0 | 28:9 | 41 |
| გალათასარაი | 18 | 12 | 3 | 3 | 28:17 | 39 |
| გენჩლერი | 18 | 11 | 4 | 3 | 47:20 | 37 |
| ფენერბაჰჩე | 17 | 10 | 5 | 2 | 39:20 | 35 |
| გაზიანთეფი | 17 | 8 | 6 | 3 | 31:21 | 30 |
| ტრაბზონი | 18 | 8 | 6 | 4 | 22:14 | 30 |
| მალათია | 17 | 6 | 7 | 4 | 29:21 | 25 |
| ანკარაგიუჯიუ | 17 | 7 | 2 | 8 | 22:24 | 23 |
| დენიზლი | 17 | 5 | 6 | 6 | 19:20 | 21 |
| დიარბაქირი | 18 | 5 | 5 | 8 | 17:24 | 20 |
| ისთანბული | 18 | 5 | 4 | 9 | 21:28 | 19 |
| ადანა | 18 | 4 | 7 | 7 | 19:29 | 19 |
| ალთაი | 18 | 5 | 3 | 10 | 25:39 | 18 |
| ბურსა | 18 | 3 | 7 | 8 | 23:33 | 16 |
| სამსუნი | 18 | 4 | 4 | 10 | 18:35 | 16 |
| ელაზიგსფორი | 17 | 4 | 3 | 10 | 18:28 | 15 |
| გიოზთეფე | 17 | 3 | 6 | 8 | 17:28 | 15 |
| ქოჯაელი | 18 | 4 | 1 | 13 | 20:33 | 13 |

**ამხანაგური მატჩი**

**ომანი 1:2 ნორვეგია**

1:0 შაბანი (50), 1:1 კარადახი (63), 1:2 რუშფელდტი (82)

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80





# ჩილავერტმა მალდინი იტალიელობაში ამხილა

ხოსე ლუის ჩილავერტმა ზაფხული ზამთარში გაიხსენა. ლაპარაკი კორეაიაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატზეა. შარშან აზიაში პარაგვაის ნაკრები გერმანელებთან მერვედფინალში დამარცხდა და გზა ევროპელებს დაუთმო. თუმც ჩილავერტი სულ სხვა რამეს შეუწუხებია და არა მერვედფინალიდან შინ გამგზავრებას.

გახსოვთ ალბათ, რომ სამხრეთამერიკელებს იტალიელი ჩეზარე მალდინი წვრთნიდა. დანიშვნის დღიდან ჩილავერტი მისი მარჯვენა ხელი გახდა და ნაკრების იტალიური შეკრებიდან მეკარის ინიციატივით ორი ფეხბურთელიც კი დაითხოვეს — მიზეზად საქმესთან მათი არასერიოზული მიდგომა დაასახელეს. მოკლედ, ხოსე და ჩეზარე შეხმატკბილებულნი მუშაობდნენ.

შავმა კატამ ჯგუფური ეტაპის ბოლო, გადამწყვეტი მატჩის მსვლელობისას გაირბინა. იმ შეხვედრაში პარაგვაელთა მეტოქე სლოვენია გახლდათ. პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში ევროპელთა სასარგებლოდ 1:0 იყო, თან პარაგვაელები კაცნაკლულნი დარჩნენ.

ჩილავერტის თქმით, მალდინი, ნაცვლად გუნდის გამხნევებისა, როცა პარაგვაი უკვე 3:1 იგებდა, სკამიდან აბრძანებულა და იტალიის ნაკრების მატჩის სანახავად წასულა.

მოგვიანებით, სლოვენიასთან შეხვედრის შემდეგ, პარაგვაის ნაკრების ფეხბურთელებმა მწვრთნელის წავლის ამბავი რომ შეიტყვეს, პროტესტის ნიშნად პირი შეკრეს და მშობლიურ ენაზე, გუარნიზე საუბრობდნენ. მეკარეს იტალიელის საქციელი ისე სწყენია, მცირე საპროტესტო აქცია მოუწყვია.

**მაჟა ხუციშვილი**





დმიტრი პიტერმანმა თვალი რომარიოს დაადგა

# ვინა არის ეს კაცი?

## მძლეოსანი, ბიზნესმენი, მაფიოზი პიტერმანი რომარიოს სანტანდერში იწვევს

**ვინ არის** უკრაინული წარმოშობის ამერიკის მოქალაქე რომელსაც ესპანური სანტანდერის „რასინგისგან" ლაკორუნიის „დეპორტივოს" შექმნა სურს? დღეს მისი ვინაობა ესპანეთში ბევრმა იცის — ის დიმიტრი პიტერმანი გახლავთ.

პიტერმანი 13 წლის იყო აშშ-ი, ბერკლის უნივერსიტეტში სწავლისთვის სტიპენდია რომ მიიღო და კალიფორნიაში გადაბარგდა. მოგვიანებით მოქალაქეობაც გაირტყა. ის უბრალოდ ბიზნესმენი არაა. თავის დროზე აშშ-ს ოლიმპიურ მძლეოსანთა ნაკრების კანდიდატიც კი იყო და სამხტომში რიგიან შედეგებს აჩვენებდა.

აბა, ოდესელს წინ და უკან ხტომა რას არგებდა, მას მხოლოდ წინ სვლა სურდა, ამიტომაც გადაერთო უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვაში. იმ საქმეშიც ივარგა და რამდენიმე წელში მილიონერად იქცა. 12 წლის წინ პიტერმანმა ოკეანის აქეთ გადმოინაცვლა. ესპანეთში კოსტა-ბრავას სანაპიროებს მიაკითხა და სასტუმროების შეძენა დაიწყო.

პირველად მისმა გვარმა ხმამაღლა მაშინ გაიჟღერა, როცა მესამედივიზიონელი, კატალონიური უსახელო კლუბი „პალამოსი" შეიძინა. ის პრეზიდენტის მოვალეობას არ დასჯერდა, მწვრთნელობა აიკვიატა და ყველას გასაკვირად გუნდი ზედა დივიზიონში აღაზევა.

მულტიმილიონერს მადა გაეხსნა, გაცილებით მეტი მოიწადინა და სანტანდერს მიადგა. 3 მილიონ 600 ათასი ევრო გადათვალა და „რასინგის" აქციათა 25 პროცენტის მფლობელი იმავდროულად პრეზიდენტიც გახდა. მის გარდა კლუბის აქციებს ქალაქის მერია და კიდევ თითო-ოროლა იქაური საქმოსანი ფლობს, მაგრამ საკონტროლო პაკეტი პიტერმანის ხელშია.

ახალმა პატრონმა გუნდის ძველი მწვრთნელი უმუშევრად დატოვა და „პალამოსიდან" თავის თანაშემწეს ხესუს „ჩუჩი" კოსოს უხმო. ყველა სხვა სიახლესთან ერთად ოდესელმა კრიზისიდან გუნდის გამოსვლის ერთ-ერთ მთავარ პირობად ტაქტიკური სქემის შეცვლა დაასახელა და „რასინგი"... 4-2-4-ზე გადააწყო. შედეგად „რასინგმა" „ოსასუნასთან" 1:3 წააგო.

თურმე მილიონერს ფეხბურთელების განწყობის ასამაღლებლად რამდენიმე კომპაქტდისკი უყიდია და გუნის კუთვნილ ავტობუსში რასინგელებს ყურები გამოუჭედა.

კლუბში მისვლის დღესვე დმიტრი პიტერმანს სიტყვა უთქვამს: „მე მსურს, რომ სანტანდერის „რასინგი" მეორე „დეპორტივო" გახდეს. ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა."

მთელი კვირის მანძილზე ფეხბურთელებს ახალი პრეზიდენტის თაობაზე კომენტარებს სთხოვდნენ. ზოგმა თქვა, რომ მათ პრეზიდენტი მწვრთნელის რანგში ვერ წარმოუდგენიათ, ზოგმაც პიტერმანის საქციელს შეურაცხმყოფელი უწოდა.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ მას მწვრთნელის სკამზე წამოსკუპება აუკრძალა, რადგან სათანადო ლიცენზია არა აქვს. ეს რომ „ოსასუნასთან" მატჩის წინ მილიონერმა შეიტყო, თქვა, თვითმფრინავს ვიქირავებ, სტადიონის თავზე უნდა ვინავარდოო. საბოლოოდ ეს ვარიანტიც უკუაგდო და ალბათ გახსოვთ, რომ „ოსასუნასთან" შეხვედრისას მოედნის კიდესთან მაინც გამოიჭიმა ფოტოგრაფის მოსაცმლით.

ესპანური „მარკას" აზრით, გუნდებს მილიონერები კი არა, პროფესიონალები სჭირდება და მარკელები პიტერმანის მწვრთნელობას ეჭვის თვალით უყურებენ. იქაური გაზეთები ამერიკელის საქმიანობას „ჩაუსხდნენ" და ძირფესვიანად იკვლევენ — ეს კაცი „რუსული მაფიის" წევრი ხომ არ არისო.

ამასობაში დიმიტრი პიტერმანი ბრაზილიაში „ფლუმინენსეს" დაუკავშირდა, თქვენთან ერთი ბიჭი, სახელად რომარიო თამაშობს და ეგებ დამითმოთო. რომარიოს კონტრაქტი კი აკავშირებს კლუბთან, მაგრამ არის მასში ერთი პუნქტი, რომლის მიხედვითაც ფეხბურთელს, შეთანხმების შემთხვევაში, ევროპულ გუნდში გადასვლის უფლება აქვს.

თავის მხრივ რომარიოს კარიერის ევროპაში დასრულების სურვილი ჰქონდა და ეგებ სანტანდერის „რასინგთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში თამაშსაც მოესწროს. ვნახოთ, პრიმერადივიზიონში ორი „დეპორტივო" იქნება თუ არა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ამხანაგური მატჩები. 12 თებერვალი

**ჰოლანდია — არგენტინა**

არგენტინა

მეკარეები: პაბლო კავალიერო (სელტა, ესპანეთი), რობერტო ბონანო (ბარსელონა, ესპანეთი); მცველები: რობერტო აიალა (ვალენსია, ესპანეთი), ფაბრიციო კოლოჩინი (ატლეტიკო, ესპანეთი), ვალტერ სამუელი (რომა, იტალია), მაურისიო პოჩეტინიო (პსჟ, საფრანგეთი), ფაკუნდო კიროგა (სპორტინგი, პორტუგალია), ლიონელ სკალონი (დეპორტივო, ესპანეთი), ხუან პაბლო სორინი (ლაციო, იტალია), დიეგო პლასენტე (ლევერკუზენი, გერმანია); ნახევარმცველები: პაბლო აიმარი (ვალენსია, ესპანეთი), ხავიერ ძანეტი (ინტერი, იტალია), მარსელო გალიარდო (მონაკო, საფრანგეთი), მაურო სეტო (ნანტი, საფრანგეთი), ხუან სებასტიან ვერონი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ესტებან კამბიასო, სანტიაგო სოლარი (ორივე რეალი, ესპანეთი); თავდამსხმელები: ხავიერ სავიოლა (ბარსელონა, ესპანეთი), გუსტავო ლოპესი (სელტა, ესპანეთი), კლაუდიო ლოპესი (ლაციო, იტალია), ხულიო რიკარდო კრუზი (ბოლონია, იტალია), არიელ ორტეგა (ფენერბაჰჩე, თურქეთი)

**ჩინეთი — ბრაზილია**

ბრაზილია

მეკარე: დიდა (მილანი, იტალია); მცველები: კაფუ (რომა, იტალია), ბელეტი (ვილიარეალი, ესპანეთი), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), ჟუნიორი (პარმა, იტალია), ედმილსონი (ლიონი, საფრანგეთი), როკე ჟუნიორი (მილანი, იტალია), ჟუანი (ლევერკუზენი, გერმანია); ნახევარმცველები: ემერსონი (რომა, იტალია), ჟილბერტო სილვა (არსენალი, ინგლისი), ზე რობერტო (ბაიერნი, გერმანია), ფლავიო კონსეისაო (რეალი, ესპანეთი), ჟუნინიო პერნამბუკანო (ლიონი, საფრანგეთი), დენილსონი (ბეტისი, ესპანეთი), რონალდინიო (პსჟ, საფრანგეთი); თავდამსხმელები: რონალდო (რეალი, ესპანეთი), რივალდო (მილანი, იტალია), ამოროზო (დორტმუნდი, გერმანია), ადრიანო (პარმა, იტალია)




**ფრანგულმა** „აიაჩომ" 29 წლის არგენტინელ ფორვარდ ხუან ედუარდო ესნაიდერს ექვსთვიანი კონტრაქტი გაუფორმა. ესპანური „სარაგოსას" და იტალიური „იუვენტუსის" ყოფილი თავდამსხმელი ბოლოს მშობლიურ „რივერ პლეიტში" ბურთაობდა. ესნაიდერის ფრანგული დებიუტი სავარაუდოდ წუხელ უნდა შემდგარიყო — „აიაჩო" საფრანგეთის ჩემპიონატის 24-ე ტურში „მონპელიეს" სტუმრობდა.

**შვეიცარიელმა** მწვრთნელმა კრისტიან გროსმა გერმანულ „ვოლფსბურგს" უარი შეუთვალა. 48 წლის გროსი ახლა „ბაზელს" წვრთნის. შვეიცარიის ჩემპიონები მის ხელში შინაური პირველობის გარდა წლეულს ჩემპიონთა ლიგაშიც წარმატებით თამაშობენ. „ვოლფსბურგის" ახლანდელ თავკაც ვოლფგანგ ვოლფს სეზონის ბოლოს კონტრაქტი ეწურება და გუნდიდან მიდის. გერმანელებს მის შემცვლელად სწორედ გროსი ეგულებოდათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

**ესპანურმა** „სელტამ" სატრანსფერო საქმეში „ბარსელონა", „ვალენსია", „ესპანიოლი" დაჯაბნა და „ლას პალმასის" ახალგაზრდა თავდამსხმელი ანხელ ლოპესი გადაიბირა. 21 წლის ფეხბურთელი ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრია, „ლას პალმასმა" ტრანსფერში მილიონ 260 ათასი ევრო მიიღო.

**ბრაზილიური** „სანტოსის" ყმაწვილმა ფორვარდმა რობინიომ თავისი ოცნება გაამხილა — ევროპაში, კერძოდ, ესპანურ „ბარსელონაში" მსურს თამაში. „ბარსელონა" ჩემი ოცნების გუნდია. იქ დიადი ფეხბურთელები თამაშობენ. თუ ოდესმე მიმიწვიეს, დაუფიქრებლად გადავალ" — ამბობს რობინიო. „ბარსელონასი" რა გითხრათ, მაგრამ ბრაზილიის ამომავალ ვარსკვლავად წოდებულ რობინიოს იტალიურმა „რომამ" და მიუნხენის „ბაიერნმა" უკვე დაადგეს თვალი.

**ფრანგული** „ბასტიას" ფორვარდ ჰასან აჰამადასთვის სეზონი უკვე დასრულდა. „ნანტის" ყოფილმა ფეხბურთელმა მუხლის ტრავმა ერთი კვირის წინანდელ მატჩში მიიღო, მერე გამოკვლევა ჩაუტარეს და დიაგნოზიც დაუსვეს — გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს. კორსიკული გუნდის მწვრთნელ ჟერარ გილის ახლა სამი თავდამსხმელის იმედი ექნება — ლილიან ლასლანდი, ფლორიან მორისი და ჩუკი ბენ-საადა, საბედნიეროდ, ჯერ ჯანზე არიან.

**იტალიელი** თავდამსხმელი მასიმო მარაცინა რომ „კიევოს" მწვრთნელ ლუიჯი დელ ნერისთან ნაჩხუბარია, იცით. მარაცინა ვერონული კლუბიდან წასვლას რომ აპირებს, არც ესაა ახალი. გუშინ აპენინელმა ჟურნალისტებმა მისი მსურველი ორი გუნდი დაადგინეს — „რომა" და „ლაციო". თავად მასიმოს კი ამის შესახებ არაფერი სცოდნია. „ორივე დიდი კლუბია — ამბობს იგი — ფაბიო კაპელოც და რობერტო მანჩინიც ჩინებული მწვრთნელები არიან, მხიბლავს „სტადიო ოლიმპიკოზე" შექმნილი ატმოსფეროც. თუ რომელიმეს მართლა დავჭირდები, დედაქალაქში სიამოვნებით გადავალ".

**ინგლისურ** „მიდლსბროში" შესაძლოა „დერბი ქაუნთის" ფეხბურთელები — მალკოლმ კრისტი და კრის რიგოტი გადავიდნენ. „ბოროს" მწვრთნელ სტივ მაკლარენს კარგა ხანია სურს, ორივე „რივერსაიდ სთედიუმზე" იხილოს. „თუ „დერბის" სატრანსფერო თანხაზე ვერ მოვურიგდით, კრისტის და რიგოტს იჯარით ვინათხოვრებთ" — ამბობს მაკლარენი.

**იტალიურმა** „კიევომ" შვედური „გიოტებორგიდან" 22 წლის ცენტრალური მცველი ფრედერიკ რისპი ინათხოვრა. რისპს შვედეთის ეროვნულ გუნდში ერთი მატჩი აქვს ჩატარებული. ვერონელებს ფეხბურთელი ნიკოლა ლეგროტალიეს შემცვლელად ესახებათ. ლეგროტალიე „კიევოში", როგორც ჩანს, ბოლო სეზონს ატარებს, მას „რომა" და „იუვენტუსი" ეკურკურებიან, თუმც მის ხელში ჩაგდებას ბობი რობსონის „ნიუკასლ იუნაიტედიც" ლამობს.

**ჰოლანდიურმა** „აიაქსმა" რუმინელი ნახევარმცველი ოვიდიუ პეტრე იჯარის წესით გადაიყვანა. პეტრეს მშობლიურმა კლუბმა, ბუქარესტის „ნაციონალმა", ტრანსფერში 200 ათასი დოლარი მიიღო. ფეხბურთელის აგენტ ვიქტორ ბეჩალის თქმით, თუ პეტრე „აიაქსის" ძირითადში ადგილს მალე დაიმკვიდრებს, ამსტერდამული კლუბი სეზონის ბოლოს მის კონტრაქტს გამოისყიდის და ოთხწლიან ხელშეკრულებას გაუფორმებს. ოვიდიუ პეტრე „აიაქსში" თანამემამულეებს, მცველ კრისტიან კივუს და მეკარე ბოგდან ლობონტს შეუერთდა.

**ინგლისურმა** „ნიუკასლმა" პარაგვაელი ნახევარმცველი დიეგო გავილანი სამხრეთ ამერიკაში გააბრუნა. ფეხბურთელი ბრაზილიურმა „ინტერნასიონალმა" სეზონის ბოლომდე ინათხოვრა. 22 წლის გავილანი ალბიონზე 3 მილიონ 200 ათას დოლარად 2000 წლის იანვარში გადავიდა, თუმც ბობი რობსონის გუნდის ძირითადში ფეხის მოკიდება ერთობ გაუჭირდა. ჰოდა, „კაჭკაჭთა" ხელმძღვანელობამ უსარგებლო ფეხბურთელის გუნდში დატოვება მიზანშეუწონლად მიიჩნია.

**იტალიური** „პიაჩენცა" ორი ფეხბურთელით გაძლიერდა, თუმც ერთ მცველს კი შეელია. ნახევარმცველი დავიდე ბაიოკო „იუვენტუსისგან" ინათხოვრა, ხოლო ასევე შუახაზელი მარკო მარკიონი „პარმასგან" წაიყვანა. „პარმამ" მარკიონის სანაცვლოდ მარჯვენა მცველი ჯუზეპე კარლონე გადაიბირა. ნამოღვაწარით კმაყოფილია „პიაჩენცას" მწვრთნელი ანდრეა აგოსტინელი: „ბაიოკო და მარკიონი კარგი ფეხბურთელები არიან. მათი „პიაჩენცაში" გადმოყვანა, ჩემი ძალისხმევით მოხერხდა, დავარწმუნე პრეზიდენტი, რომ ორთავე გუნდს დიდ სარგებლობას მოუტანს".

**ისლანდიელი** მცველი აუდუნ ჰელგასონი ამიერიდან შვედურ „ლანდსკრონაში" ითამაშებს. 28 წლის ჰელგასონს ეროვნული გუნდის მაისურა 27-ჯერ მოურგია. ფეხბურთელმა კარიერა ნორვეგიულ „ვიკინგში" დაიწყო, საიდანაც ბელგიურ „ლოკერენში" გადავიდა. ჰელგასონმა „ლანდსკრონასთან" ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, რამდენი მიიღო „ლოკერენმა", არავინ იცის.

**ჰოლანდიური** „პსვ ეინდჰოვენის" დანიელი მცველი კასპერ ბოგელუნდი დაშავდა და 12 თებერვალს ამხანაგურ მატჩს გამოტოვებს — დანიის ნაკრები კაიროში ეგვიპტეს გაეჯიბრება. როგორც დანიური გაზეთი „ეკსტრაბლადეტი" იუწყება, ნაკრების მწვრთნელ მორტენ ოლსენს მისი ძალიან ეიმედებოდა, თუმც სასწრაფოდ ბოგელუნდის შემცვლელის ძებნა მოუწევს.

**იუგოსლავიის** ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი და შემდგომში მთავარი მწვრთნელი მილოშ მილუტინოვიჩი 70 წლის ასაკში გარდაიცვალა. მილუტინოვიჩის სიცოცხლე ბელგრადის ერთ-ერთ კლინიკაში შეწყდა. იგი კიბოთი გახლდათ დაავადებული. მილუტინოვიჩმა „პარტიზანთან" ერთად 1950 წელს იუგოსლავიის ჩემპიონობა მოიგო, მერე მიუნხენის „ბაიერნში" და ფრანგულ „რასინგშიც" იბურთავა, კარიერა კი ბელგრადულ ოფკ-ში დაასრულა. იუგოსლავიის ნაკრებში 33 მატჩი ჩაატარა, გაიტანა 16 გოლი. 1984 წლის ევროპის ჩემპიონატზე ეროვნულ გუნდს თავკაცობდა, 1983-ში კი „პარტიზანთან" ერთად კიდევ ერთი ტიტული მოიგო — უკვე მწვრთნელის რანგში იზეიმა ქვეყნის ჩემპიონობა.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XIX ტური

**1 თებერვალი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | შტუტგარტი-ჰერტა | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 18.30 | 002 | გლადბახი-ვოლფსბურგი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.30 | 003 | არმინია-ბაიერნი | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| 18.30 | 004 | მიუნხენი-ჰანოვერი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 18.30 | 005 | ნიურნბერგი-ჰანზა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.30 | 006 | კოტბუსი-ბოხუმი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 007 | შალკე-კაიზერსლაუტერნი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |

**2 თებერვალი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ჰამბურგი-ვერდერი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 20.30 | 009 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

### იტალია. სერია "A". XIX ტური

**1 თებერვალი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 085 | პიაჩენცა-ბრეშა | 2,2 | 2,9 | 3,4 | 1,25 | 1,33 | 1,56 |
| 23.30 | 086 | რომა-ბოლონია | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |

**2 თებერვალი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 087 | ატალანტა-იუვენტუსი | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 18.00 | 088 | კიევო-ლაციო | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| 18.00 | 089 | ემპოლი-კომო | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |
| 18.00 | 090 | მილანი-მოდენა | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 091 | მილანი-მოდენა 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| 18.00 | 092 | პარმა-უდინეზე | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 18.00 | 093 | რეჯინა-პერუჯა | 2,2 | 3,0 | 3,3 | 1,26 | 1,32 | 1,57 |
| 23.30 | 094 | ტორინო-ინტერი | 4,4 | 3,1 | 1,8 | 1,81 | 1,27 | 1,13 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XX ტური

**1 თებერვალი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 129 | ატლეტიკო-ბარსელონა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

**2 თებერვალი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 130 | სელტა-სევილია | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 20.00 | 131 | ესპანიოლი-რეალი | 4,2 | 3,1 | 1,85 | 1,78 | 1,28 | 1,15 |
| 20.00 | 132 | ოსასუნა-ვილიარეალი | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1,19 | 1,28 | 1,7 |
| 20.00 | 133 | ვალენსია-მალიორკა | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 20.00 | 134 | მალაგა-ეულვა | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 20.00 | 135 | ბეტისი-დეპორტივო | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |
| 20.00 | 136 | ვალიადოლიდი-რასინგი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 20.00 | 137 | ალავესი-რაიო | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |
| 23.30 | 138 | ბილბაო-სოსიედადი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

### ესპანეთი

### II დივიზიონი. XXI ტური

**1 თებერვალი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 139 | ლეგანესი-ტერასა | 2,3 | 2,6 | 3,5 | 1,22 | 1,38 | 1,49 |
| 21.30 | 140 | ტენერიფე-ფეროლი | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 21.30 | 141 | სერესი-ნუმანსია | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 21.30 | 142 | ლევანტე-ოვიედო | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |

**2 თებერვალი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 143 | ეხიდო-ალმერია | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |
| 20.00 | 144 | ალბასეტე-ეიბარი | 1,65 | 3,1 | 6,0 | 1,07 | 1,29 | 2,04 |
| 20.00 | 145 | სალამანკა-სარაგოსა | 2,8 | 2,7 | 2,7 | 1,37 | 1,37 | 1,35 |
| 20.00 | 146 | სპორტინგი-ბადახოსი | 1,7 | 3,0 | 5,6 | 1,08 | 1,3 | 1,95 |
| 20.00 | 147 | მურსია-კომპოსტელა | 1,6 | 3,1 | 7,0 | 1,05 | 1,3 | 2,14 |
| 20.00 | 148 | ელჩე-ლას პალმასი | 2,35 | 2,7 | 3,3 | 1,25 | 1,37 | 1,48 |
| 20.00 | 149 | კორდობა-ხეტაფე | 2,25 | 2,8 | 3,4 | 1,24 | 1,35 | 1,53 |

### პორტუგალია

### I ლიგა. XX ტური

**1 თებერვალი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 194 | ბოავიშტა-აკადემიკა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

**2 თებერვალი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 195 | ბელენენსეში-სანტა კლარა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 20.00 | 196 | ბრაგა-ვარზიმი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 20.00 | 197 | მარიტიმუ-ნასიონალი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 20.00 | 198 | ბეირა მარი-ლეირია | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.30 | 199 | სპორტინგი-ფერეირა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 200 | სპორტინგი-ფერეირა 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 23.00 | 201 | ჟილ ვისენტე-პორტუ | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |

**3 თებერვალი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 202 | ბენფიკა-მორეირენსე | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 203 | ბენფიკა-მორეირენსე 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| 01.00 | 204 | გიმარაეში-სეტუბალი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |

### პორტუგალია

### II ლიგა. XX ტური

**1 თებერვალი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 205 | სალგეირუში-მაია | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |

**2 თებერვალი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 206 | ამადორა-ლამაში | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 207 | ამადორა-ლამაში 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 208 | შავეში-პორტიმონენსე | 1,95 | 2,9 | 4,2 | 1,16 | 1,33 | 1,71 |
| 19.00 | 209 | ალვერკა-ლეცა | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 210 | ალვერკა-ლეცა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |
| 19.00 | 211 | ავეში-მარკუ | 2,0 | 3,0 | 3,8 | 1,2 | 1,31 | 1,67 |
| 19.00 | 212 | კოვილია-რიუ ავე | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 19.00 | 213 | ოვარენსე-მადეირა | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 19.30 | 214. | ნავალი-პენაფიელი | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 20.00 | 215 | ფარენსე-ფელგეირაში | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. XVIII ტური**

**31 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 216 | პსვ-როზენდალი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 217 | პსვ-როზენდალი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |

**1 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 218 | ექსელსიორი-როდა | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 22.30 | 219 | ბრედა-ჰერენვენი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 22.30 | 220 | გრააფსხაპი-უტრეხტი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 23.00 | 221 | ალკმაარი-ნაიმეგენი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |

**2 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 222 | ფეიენოორდი-ტვენტე | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 223 | ფეიენოორდი-ტვენტე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 17.30 | 224 | ტილბურგი-აიაქსი | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| 17.30 | 225 | ვალვაიკი-გრონინგენი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |

**ბელგია. I დივიზიონი. XX ტური**

**31 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 241 | ანდერლეხტი-სტანდარდი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

**1 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 242 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 243 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 23.00 | 244 | ლოკერენი-ლომელი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 245 | ლოკერენი-ლომელი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 23.00 | 246 | ბრიუგე-ვესტერლო | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 247 | ბრიუგე-ვესტერლო 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| 23.00 | 248 | ბეერსხოტი-გენკი | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| 23.00 | 249 | ბევერენი-ლიერსი | 3,4 | 3,4 | 1,95 | 1,7 | 1,23 | 1,23 |

**2 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 250 | შარლერუა-გენტი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.00 | 251 | მუსკრონი-ანტვერპენი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 18.00 | 252 | მონსი-მეხელენი | 1,15 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,03 | 3,33 |

**საბერძნეთი. XVII ტური**

**2 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 266 | ირაკლისი-პანაპაიკი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 267 | ირაკლისი-პანაპაიკი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 17.00 | 268 | ოლიმპიაკოსი-ოფი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 269 | ოლიმპიაკოსი-ოფი 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| 17.00 | 270 | პანიონიოსი-არისი | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 17.00 | 271 | აკრატიტოსი-კალითეა | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 17.00 | 272 | ეგალეო-იონიკოსი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 17.00 | 273 | პაოკ-ქსანთი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 274 | პაოკ-ქსანთი 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,4 | | | |
| 17.00 | 275 | იანინა-აეკ | 4,2 | 3,1 | 1,85 | 1,78 | 1,28 | 1,15 |
| 17.00 | 276 | პროდეფტიკი-პანათინაიკოსი | 5,0 | 3,2 | 1,7 | 1,95 | 1,26 | 1,11 |

**ესპანეთი. თასი**

**¼ ფინალი. II ეტაპი**

**30 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 317 | მურსია-დეპორტივო | 3,1 | 3,1 | 2,25 | 1,54 | 1,3 | 1,3 |

**ამხანაგური მატჩები**

**31 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02.00 | 325 | ჰონდურასი-არგენტინა | 4,8 | 3,3 | 1,7 | 1,95 | 1,25 | 1,12 |

**ჰოკეი. შვეიცარია**

**30 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 629 | დავოსი-ცუგი | 1,4 | 4,8 | 4,8 | 1,08 | 1,08 | 2,4 |

**ჰოკეი. გერმანია**

**30 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 642 | აუგსბურგი-კიოლნი | 2,7 | 4,4 | 1,85 | 1,67 | 1,09 | 1,3 |

**31 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 643 | დიუსელდორფი-ინგოლშტადი | 1,4 | 4,8 | 4,8 | 1,08 | 1,08 | 2,4 |
| 22.30 | 644 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 2,25 | 4,2 | 2,25 | 1,46 | 1,12 | 1,46 |
| 22.30 | 645 | კასელი-ფრანკფურტი | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1,85 |
| 23.00 | 646 | კრეფელდი-მანჰაიმი | 2,2 | 4,2 | 2,3 | 1,44 | 1,12 | 1,48 |
| 23.00 | 647 | შვენინგი-იზერლონი | 2,4 | 4,2 | 2,1 | 1,52 | 1,12 | 1,39 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

**30 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 742 | ქალგირისი-ბუდუჩნოსტი | 1,2 | 12,0 | 3,5 | 1,09 | 1 | 2,7 |
| 23.00 | 743 | მაკაბი-ოლიმპია | 1,55 | 12,0 | 2,1 | 1,37 | 1 | 1,78 |
| 23.30 | 744 | ციბონა-ალბა | 1,2 | 12,0 | 3,5 | 1,09 | 1 | 2,7 |
| 23.30 | 745 | ბენეტონი-ბარსელონა | 1,45 | 12,0 | 2,3 | 1,29 | 1 | 1,93 |
| 23.30 | 746 | კინდერი-ულქერი | 1,45 | 12,0 | 2,3 | 1,29 | 1 | 1,93 |
| 23.30 | 747 | რეალი-ცსკა | 1,65 | 12,0 | 1,95 | 1,45 | 1 | 1,67 |
| 23.30 | 748 | ვილერბანი-ოლიმპიაკოსი | 1,8 | 12,0 | 1,8 | 1,56 | 1 | 1,56 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ჩემპიონები და თასის აღებაბ

**ჩემპიონთა თასი**
**18 თებერვალი (23.45)**

001 რეალი 5.0
002 მანჩესტერი 5.0
003 მილანი 5.0
004 არსენალი 6.0
005 იუვენტუსი 7.0
006 ბარსელონა 7.0
007 ინტერი 7.0
008 ვალენსია 8.0
009 დეპორტივო 20.0
010 დორტმუნდი 20.0
011 აიაქსი 25.0
012 რომა 40.0
013 ლევერკუზენი 75.0
014 ნიუკასლი 75.0
015 ლოკომოტივი 250.0
016 ბაზელი 500.0

**უეფას თასი**
**20 თებერვალი (21.15)**

021 ლაციო 3.0
022 ლივერპული 3.0
023 ჰერტა 8.0
024 პორტუ 10.0
025 სელტიკი 10.0
026 მალაგა 10.0
027 პანათინაიკოსი 15.0
028 ისერი 15.0
029 შტუტგარტი 15.0
030 ანდერლეხტი 15.0
031 აეკ 15.0
032 ბეშიქთაში 20.0
033 სლავია 30.0
034 ბოავიშტა 30.0
035 დენიზლი 50.0
036 ვისლა 50.0

**გერმანია. ბუნდესლიგა**
**1 თებერვალი (18.30)**

041 ბაიერნი 1,01
042 დორტმუნდი 7,0
043 ვერდერი 10,0
044 შალკე 20,0

**იტალია. სერია A**
**1 თებერვალი (21.00)**

061 მილანი 2,3
062 ინტერი 2,8
063 იუვენტუსი 2,8
064 ლაციო 4,0

**ესპანეთი. I დივიზიონი**
**1 თებერვალი (24.00)**

071 რეალი 1,4
072 სოსიედადი 2,5
073 ვალენსია 5.0
074 დეპორტივო 7,0
075 სელტა 30,0
076 ბეტისი 20,0
077 ბარსელონა 99,0

**პორტუგალია. I ლიგა**
**1 თებერვალი (23.00)**

091 პორტუ 1,01
092 ბენფიკა 12,0
093 სპორტინგი 12,0

**ჰოლანდია. I დივიზიონი**
**31 იანვარი (23.00)**

101 პსვ 1,55
102 აიაქსი 2,0
103 ფეიენოორდი 10,0

**ბელგია. I დივიზიონი**
**31 იანვარი (23.30)**

111 ბრიუგე 1,01
112 ანდერლეხტი 9,0

**საბერძნეთი**
**I დივიზიონი**
**1 თებერვალი (18.00)**

121 ოლიმპიაკოსი 1,5
122 პანათინაიკოსი 2,0
123 პაოკ 5,0
124 აეკ 5,0

**ჩეხეთი**
**1 თებერვალი (19.00)**

191 სპარტა 1,2
192 სლავია 3,0

**პოლონეთი**
**1 თებერვალი (19.00)**

196 ვისლა 1,25
197 ლეგია 3,0
198 კატოვიცე 5,0
199 ოდრა 8,0

**თურქეთი. I ლიგა**
**2 თებერვალი (21.00)**

131 გალათასარაი 1,8
132 ბეშიქთაში 1,8
133 ფენერბაჩე 4,0

**დანია**
**სუპერლიგა**
**1 თებერვალი (18.00)**

151 კოპენჰაგენი 1,05
152 ბრიონდბიუ 4,0
153 ოლბორგი 10,0

**შვეიცარია. A ლიგა**
**22 თებერვალი (17.30)**

161 ბაზელი 1,6
162 გრასჰოპერი 2,0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**
**22 თებერვალი (18.30)**

171 აუსტრია 1,01
172 შტურმი 15,0
173 რაპიდი 15,0
174 პაშინგი 15,0

**რომელი ქვეყნის კლუბი აიღებს ჩემპიონთა თასს**
**18 თებერვალი (23.45)**

181 ესპანეთი 2,0
182 ინგლისი 2,5
183 იტალია 2,5
184 გერმანია 15,0

**ჰოკეი. NHL. სტენლის თასი**
**1 თებერვალი (24.00)**

201 დეტროიტი 3,5
202 დალასი 4,0
203 ფილადელფია 5,0
204 ბოსტონი 6,0
205 ნიუ ჯერსი 7,0
206 კოლორადო 8,0
207 ოტავა 10,0
208 ვანკუვერი 12,0
209 სენტ ლუისი 12,0
210 ტამპა ბეი 15,0
211 მინესოტა 15,0
212 ტორონტო 20,0
213 კაროლინა 20,0
214 ლოს ანჯელესი 20,0
215 ვაშინგტონი 30,0
216 სან ხოსე 30,0
217 მონრეალი 40,0
218 ანაჰაიმი 50,0
219 პიტსბურგი 50,0
220 ჩიკაგო 50,0
221 ედმონტონი 50,0
222 რეინჯერსი 100,0
223 ფლორიდა 150,0
224 აილენდერსი 150,0
225 ფინიქსი 200,0
226 კოლუმბუსი 200,0
227 კალგარი 300,0
228 ბუფალო 300,0
229 ატლანტა 500,0
230 ნეშვილი 500,0

**კალათბურთი. NBA. თასი**
**1 თებერვალი (24.00)**

231 დალასი 3,0
232 საკრამენტო 3,0
233 ლეიკერსი 4,0
234 ნიუ ჯერსი 10,0
235 ინდიანა 10,0
236 სან ანტონიო 10,0
237 ფილადელფია 15,0
238 ბოსტონი 15,0
239 ორლანდო 25,0
240 ნიუ ორლეანი 25,0
241 დეტროიტი 25,0
242 პორტლენდი 35,0
243 ჰიუსტონი 35,0
244 მინესოტა 50,0
245 სიეტლი 50,0
246 ფინიქსი 75,0
247 მილუოკი 75,0
248 იუტა 75.0
249 ატლანტა 100,0
250 ვაშინგტონი 100,0
251 ტორონტო 150,0
252 ნიუ იორკი 150,0
253 კლიპერსი 150,0
254 მაიამი 200,0
255 ჩიკაგო 500,0
256 გოლდენ სტ. 999,0
257 მემფისი 999,0
258 დენვერი 999,0
259 კლივლენდი 999,0

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

01.02 18.30 2601 გერმანია ბლ. (XIX ტური)
25 ან ნაკლები – 1.9. 27 ან მეტი – 1.9
01.02 19.00 2602 ინგლისი პლ. (XXVI ტური)
25 ან ნაკლები – 1.9. 27 ან მეტი – 1.9
01.02 21.00 2603 იტალია "A" (XIX ტური)
23 ან ნაკლები – 1.9. 25 ან მეტი – 1.9
01.02 24.00 2604 ესპანეთი Iდ. (XX ტური)
25 ან ნაკლები – 1.9. 27 ან მეტი – 1.9
01.02 23.00 2606 პორტუგალია Iლ. (XX ტური)
23 ან ნაკლები – 1.9. 25 ან მეტი – 1.9
31.01 23.30 2607 ბელგია Iდ. (XX ტური)
26 ან ნაკლები – 1.9. 28 ან მეტი – 1.9

## სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;
ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");
დიდომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ª კორპუსი

**კროკოს უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა**

**შაბათი 12.00–21.30**
**კვირა 12.00–20.30**

სარბიელი
**სპორტული ლატარია**

CROCO
BOOKMAKERS
**კროკო**

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, მას კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინოშვილიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავთარაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა № 13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ª კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა № 15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი № 11 | წმინდანულის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა № 14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №76 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „იმერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჯაზი ხომ ბომბია: როდის აფეთქდება?
## იუტამ საკრამენტოს ფანჯრები ჩაუმსხვრია

27 იანვარი

**პორტლენდი 98:92 დენვერი**
**პორტლენდი:** პიპენი (13), ანდერსონი (24), ველსი (17), რენდოლფი (4), დევისი (9); საბონისი (12), მაკინისი (11), პატერსონი (8), სტუდემაიერი, დანიელსი
**დენვერი:** ჰარინგტონი (2), იარბრო (15), ჰარვი (12), ჰოვარდი (17), ილარიო (9); ვიტნი (13), ბოუენი (9), ანდერსენი (6), ვაიტი (5), ბლუნტი (2), ცქიტიშვილი (6 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა)

**საკრამენტო 92:102 იუტა**
**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (32), ბიბი (18)
**იუტა:** მელოუნი (29), სტოქტონი (20)

**დეტროიტი 86:83 ბოსტონი**
**დეტროიტი:** ბილაფსი (16)
**ბოსტონი:** პირსი (30 ქულა, 11 მოხსნა)

**მილუოკი 81:108 ფილადელფია**
**მილუოკი:** ალენი (18)
**ფილადელფია:** ვან ჰორნი (24)

**ნიუ იორკი 103:98 ატლანტა**
**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (24), სპრიუელი (21)
**ატლანტა:** აბდურ-რაჰიმი (30)

**სიეტლი 91:88 გოლდენ სტეიტი**
**სიეტლი:** ლუისი (22), პეიტონი (20)
**გოლდენ სტეიტი:** არენასი (28)

„დენვერ ნაგიტსმა" თითქმის შეძლო შელახული რეპუტაციის აღდგენა. 58 და 66-ქულიანი თამაშების შემდეგ ზორბა „პორტლენდის" დამარცხება ცხრილის ფსკერიდან ამოყვანთვაში არა და საკუთარი თავის პატივისცემის დაბრუნებაში კი დაეხმარებოდა. სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად გამზადებულს პორტლენდელებმა ბოლოსლა მოაკუმინეს პირი. ეს „დენვერის" მიყოლებით მეხუთე მარცხი იყო.

ჯეფ ბზდელიკის „ბარტყები" წლეულს ბევრი ვერაფრით დაიტრაბახებდნენ, აქამდე ისინი ალბათ იმით მოიწონებდნენ თავს, რომ საზოგადოდ ძლიერ „პორტლენდის" ორჯერ მოახრჩვინეს ქედი. „ნაგიტსი" ახლაც მედგრად დაუდგა ვარსკვლავებით სავსე „ბლეიზერსს" და თითქმის მიაღწია საწადელს, მაგრამ თითქმის არ ითვლება როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა, „დენვერმა" მაშინ ვერ შეძლო კონცენტრაცია, რის მიზეზადაც ბზდელიკმა მისსა და მეტოქე გუნდს შორის გამოცდილებაში სხვაობა დაასახელა და ეს საბუთი თავის გასამართლებლად საკმარისად ჩათვალა.

„პორტლენდს" მართლაც არ აკლია გამოცდილება და თუ დასჭირდა, ამას კარგადაც იყენებს. „დენვერთან" თამაშის მეორე ნახევარში „ბლეიზერსის" მწვრთნელმა მორის ჩიკსმა სათადარიგოთა სკამიდან თვით მხცოვანი არვიდას საბონისიააყენა და უჩვეულოდ დიდი ხნითაც ათამაშა. ლიტველმა გოლიათმა, თუმცა აგერ მერამდენე კვირაა, გულიანად არ ეთამაშა, იოლად იპოვა რიტმი, მეორე ნახევარში „დენვერს" 10 ქულა ჩაუგდო და კიდევ მეტად ასარგებლა თავისიანები დაცვაში. ის პორტიტველა ნენე ილარიოს მეურვეობდა და საიმედოდაც. ჩიკსმა აგრეთვე სრულად დატვირთვა მეორე ვეტერანი სკოტი პიპენიც. უნივერსალი პიპენი შეტევაში გამთამაშებლობდა, ხოლო დაცვაში ფარის მისადგომებს კეტავდა, ამასთან „დენვერის" პირველმექულე და ერთადერთ ვარსკვლავ ჯუონ ჰოვარდისთვის ხელის შეშლასაც ახერხებდა. ჰოვარდმა მეორე ტაიმში მხოლოდ ოთხი ქულა რომ მიაშველა თავისიანებს, ეს სკოტის დამსახურებაა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, „დენვერი" ბოლო წუთამდე უძალიანდებოდა მეტოქეს. სირენამდე 58 წამით ადრე კრის ვიტნიმ სამქულიანით 92:93 დააახლოვა „პორტლენდს" თავისიანები. ამაზე მეტი „დენვერმა" ვერ მოახერხა. ეს გუნდი უკვე კარგა ხანია, ვერაფერს ახერხებს, 1995 წლის შემდეგ პლეი ოფს, ანუ ნამდვილი კალათბურთის მიღმაა და მჩქეფარე ნბა-ში პასიური ცხოვრების დამამცირებელ ჭაპანს ეწევა.

დენვერისგან ორი მთის იქით, დიდი მარილიანი ტბის ნაპირებზე სოლტ ლეიკ სიტიში კი ძველებურად ჰყავის კალათბურთი. „იუტა ჯაზის" მუსიკა ახლა ცხელ ჰიტებში ველარ ხვდება, მაგრამ ბებერი „ჯაზმენები" მაინც ბევრს აცეკვებენ თავიანთ დაკრულზე. აგერ, საკრამენტოში გასტროლებზე თვით ზვიადი „მეფეები" ატინგიცეს. ასოციაციის კომისარ დევიდ შტერნთან ახლო ურთიერთობა რომ გვქონდეს, ვთხოვდით, ლიგის ყველაზე სტაბილური გუნდისთვის პრიზი შეექვეთა და სამუდამო მფლობელობაში გადაეცა ამ კოლორიტული გუნდისთვის. ბოლოს და ბოლოს, იქნებ სეზონის საუკეთესო მწვრთნელის წოდება მაინც გაეხერხებინა „ჯაზის" დირიჟორ ჯერი სლოუნისთვის.

სლოუნი საკრამენტოში მოვლენების ცენტრში მოექცა. პირველივე მეოთხედში მან ერთ-ერთ მსაჯთან ცხარე კამათი გააჩაღა და მერე მას ხელითაც უბიძგა, რისთვისაც, ცხადია, წამსვე დაატოვებინეს ფიცარნაგის მისადგომები. „იუტამ" უმისოდაც მოიგო. ნბა-ს ყველაზე მხცოვანმა მოთამაშემ, 41 წლის ჯონ სტოქტონმა, ბევრის აზრით, ლიგის უძლიერეს გუნდ „საკრამენტო კინგზს" 20 ქულა ჩაუგდო და სულ მცირე ერთი ამდენი პირადად ჩააგდებინა თავისიანებს, მისმა 39 წლის ძველმა დოსტმა კარლ მელოუნმა კი 29 ქულა, 10 მოხსნა და ზედაც 6 პასი გაჩარხა. დასანანია, რომ ამ ორი მოთამაშეობაშივე გალეგენდებული კალათბურთელიდან ერთიც ვერ მიიღებს მონაწილეობას 9 თებერვლის შოუში. სტოქტონიცა და მეტადრე მელოუნიც ნაღდად იმსახურებდნენ დასავლეთის 12-ვარსკვლავა გუნდში მოხვედრას. სიმართლე ვთქვათ, ეს მათივე ბრალია. ბებერი მელოუნი ამ „ბავშვური ლაზღანდარობის" მიმართ იმდენად გულგრილია, რომ აღარც დაუძახეს. არადა, 1988 წლიდან ის მუდმივად ხვდებოდა დასავლეთის გუნდში. 1993 წელს სტოქტონთან ერთად „ოლ სტარის" უძვირფასეს მოთამაშედაც დაასახელეს. შემდეგ მას თანდათან ისე აუცრუვდა გული ამ ყოველწლიურ ვარსკვლავთშეკრებებზე, რომ ბოლო წლებში სკამიდან ადგომა და თამაშში ორიოდ წუთით სიმბოლურად ჩართვაც კი ეზარებოდა. ეს გასაგებიცაა, მისი ადგილი ნამდვილ თამაშშია, იქ სადაც ნაღდი ვნებები დუღს.

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 30 | 14 | 68,2 |
| ბოსტონი | 26 | 19 | 57,8 |
| ფილადელფია | 24 | 21 | 53,3 |
| ორლანდო | 23 | 23 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 22 | 23 | 48,9 |
| ნიუ იორკი | 19 | 24 | 44,2 |
| მაიამი | 15 | 29 | 34,1 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 33 | 12 | 73,3 |
| დეტროიტი | 29 | 15 | 65,9 |
| ნიუ ორლეანი | 23 | 22 | 51,1 |
| მილუოკი | 22 | 22 | 50,0 |
| ჩიკაგო | 17 | 27 | 38,6 |
| ატლანტა | 16 | 29 | 35,6 |
| ტორონტო | 11 | 33 | 25,0 |
| კლივლენდი | 9 | 36 | 20,0 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 34 | 9 | 79,1 |
| სან ანტონიო | 28 | 16 | 63,6 |
| მინესოტა | 27 | 18 | 60,0 |
| იუტა | 26 | 18 | 59,1 |
| ჰიუსტონი | 24 | 19 | 55,8 |
| მემფისი | 13 | 31 | 29,5 |
| დენვერი | 10 | 35 | 22,2 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 32 | 14 | 69,6 |
| პორტლენდი | 28 | 15 | 65,1 |
| ფინიქსი | 26 | 20 | 56,5 |
| სიეტლი | 20 | 23 | 46,5 |
| გოლდენ სტეიტი | 20 | 24 | 45,5 |
| ლეიკერსი | 19 | 23 | 45,2 |
| კლიპერსი | 16 | 28 | 36,4 |

ALL STAR 2003. ATLANTA

# ჯორდანი დროა!



## ის მუდამ არის, ოლსტარიკები კი წავიდნენ
### ეტყობა, ღმერთი ჯორდანს ჰაერში გატარებულ დროს არ უთვლიდა

**ამ სამშაბათს,** როგორც იქნა, 9 თებერვლის ოლსტარმატჩის ყველა მონაწილე გაირკვა. ლიგის 29 გუნდის თავკაცებმა დაასახელეს აღმოსავლეთის და დასავლეთის 7-7 სათადარიგო მოთამაშე და ამით ორი მარად მეტოქე გუნდიც საამწლოდ დააკომპლექტეს.

ერთი რამ აუცილებლად აღსანიშნია. შოუმატჩის 24 მონაწილედან ერთადერთი ნამდვილი ვეტერანია. ეს, რაღა თქმა უნდა, მაიკლ ჯორდანი გახლავთ. მაიკლი, რომელსაც თებერვალში 40 წელი უსრულდება, მარტოღა შემორჩა „ოლ სტარს" ნბაში 80-იან წლებში მოსული დიდი თაობიდან. მის გვერდით ან წინააღმდეგ აღარ ითამაშებენ ძველი გენიოსები — ჰაკიმ ოლაჯუონი, პატრიკ იუინგი, კარლ მელოუნი, ჯონ სტოქტონი, კლაიდ დრექსლერი, დომინიკ უილკინსი, სკოტი პიპენი, ჯო დუმარსი, ჩარლზ ბარკლი... ამათგან ზოგმა კალათბურთს თავი დაანება, სხვები საოლსტასო ასაკიდან გამოვიდნენ. დიადი მაიკლი კი უკვე სიბერეში გადამდგარიც გავა რჩეულ ვარსკვლავთა მატჩზე. ეს „ოლ სტარი" მისთვის მე-14 იქნება. ამ მხრივ ჯორდანი უტოლდება კარლ მელოუნსა და ჯერი ვესტს. მათზე წინ მხოლოდ ქარიმ აბდულ-ჯაბარია უკვდავი რეკორდით, 19 ვარსკვლავმატჩით.

ქარიმი კიდევ არაერთ საოლსტარო რეკორდს ფლობს, მათგან ერთერთს, 251 ჯამურ საოლსტარო ქულას, ალბათ დაამხობს ჯორდანი. ამისთვის მას მხოლოდ 10 ქულა სჭირდება, რაც მისთვის შეუძლებელი სულაც არაა.

**ირაკლი ფირცხილავა**

| დასავლეთი | აღმოსავლეთი |
|---|---|
| **სასტარტო ხუთეული** | **სასტარტო ხუთეული** |
| სტივ ფრენსისი (ჰიუსტონი, 2) | ალენ აივერსონი (ფილადელფია, 4) |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი, 5) | ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო, 3) |
| კევინ გარნეტი (მინესოტა, 6) | ვინს კარტერი (ტორონტო, 4) |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო, 5) | ჯერმენ ონილი (ინდიანა, 2) |
| იაო მინგი (ჰიუსტონი, 1) | ბენ ვოლესი (დეტროიტი, 1) |
| **სათადარიგონი** | **სათადარიგონი** |
| შაკილ ონილი (ლეიკერსი, 10) | მაიკლ ჯორდანი (ვაშინგტონი, 14) |
| გერი პეიტონი (სიეტლი, 9) | ჯეისონი კიდი (ნიუ ჯერსი, 6) |
| კრის ვებერი (საკრამენტო, 5) | ანტუან უოლკერი (ბოსტონი, 3) |
| დირკ ნოვიცკი (დალასი, 2) | პოლ პირსი (ბოსტონი, 2) |
| სტივ ნეში (დალასი, 2) | ჯამალ მაშბურნი (ნიუ ორლეანი, 1) |
| სტივენ მარბერი (ფინიქსი, 2) | ზიდრუნას ილგაუსკასი (კლივლენდი, 1) |
| შონ მარიონი (ფინიქსი, 1) | ბრედ მილერი (ინდიანა, 1) |
| **მწვრთნელი:** რიკ ადელმანი (საკრამენტო) | **მწვრთნელი:** აიზია ტომასი (ინდიანა) |

*შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემული რიცხვი ოლ სტარში მონაწილეობის რაოდენობას აღნიშნავს*

# დინამომ აზოტს ჯაფარიძე და ქლენტი არ დაუთმო



ირაკლი ჯაფარიძე

გურამ ფალავანდიშვილის ფოტოები



არჩილ ქლენტი

**საფადელი** აისრულა ერთ დროს ამბიციურმა, ამ სეზონში კი ვერაფრით გამორჩეულმა რუსთავის „აზოტმა". პირველი წრის დასრულებიდან მოყოლებული ქვემოქართლელებთან ვარჯიშობდნენ ძველი აზოტელები, ამ ბოლო დროს თბილისის „დინამოში" მოთამაშე ირაკლი ჯაფარიძე და არჩილ ქლენტი, რომელთა რუსთავულ კლუბში ჩარიცხვასაც დინამოელთა თანხმობა აკლდა. თბილისელები წინ არ დაუდგნენ ამ კალათბურთელებს და ისინიც მეორე წრიდან კვლავ „აზოტის" მაისურას მოირგებენ.

ჯაფარიძე რუსთაველთა საიმედო ცენტრი იყო წლების განმავლობაში. ის ერთ დროს ეროვნული ნაკრების წევრიც გახლდათ. „ჯაფარას" პორტუგალიურ „ეინაზიოშიც" უბურთავია, თუმც მისი იქაური კარიერა დიდხანს არ გაგრძელებულა. ირაკლიმ „აზოტში" ბოლოს 2000-2001 წლების სეზონის მეორე ნახევარფინალური მატჩი ითამაშა „სტუ-ჯეოსელის" წინააღმდეგ. სწორედ ამ მატჩში ატყდა დიდი დაკა-დაკა, რისი ერთ-ერთი ინიციატორიც ჯაფარიძე გახლდათ. ამისთვის მას სამწლიანი დისკვალიფიკაცია დაუწესეს, თუმც იმავე წელს კალათბურთის ფედერაციაში ახალი ხალხი მივიდა და ჯაფარიძესაც შეუნდეს. ირაკლიმ „დინამოში" გააგრძელა კარიერა და წინა სეზონში ამ გუნდის წამყვან მოთამაშედაც ითვლებოდა, თუმც ახლახან თბილისელებმა იუგოსლავიელი ცენტრი ივან სიროვინა შეიმატეს, წოწოლა არმენ ოგანესიანი ხომ ისედაც ჰყავდათ და ჯაფარიძეც მშობლიურ „აზოტს" დაუბრუნდა.

არჩილ ქლენტს კი „აზოტისთვის" ორნახევარი სეზონი უერთგულია. ის ერთი წლის წინ, წინა ჩემპიონატის ზამთრის არდადეგებზე გადავიდა „აზოტიდან" „დინამოში". მადლებისა არ იყოს, თბილისლებს არც უკანახაზელების პრობლემა აწუხებთ — დავით თორთლაძის გარდა დინამოელებს ჰყავთ წინა ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ირაკლი ხოშტარია, რომელიც სეზონის წინ „სტუ-ჯეოსელიდან" გადმოიბირეს და ვისაც ბოტკინის გამო დღემდე არ უბურთავია „დინამოში". ხოშტარია კარგა ხანია, განიკურნა, ახლა ვარჯიშიც დაიწყო. ასე რომ, ქლენტის წასვლამ დინამოელებს დიდად არ უნდა დასწყვიტოს გული.

სამაგიეროდ, „დინამოში" მატებაცაა. თბილისელებმა კარი გაუღეს ჩემპიონატში მათი მოსისხლე ბათუმელების დაწუნებულ ვახტანგ მინაშვილს. ეს კალათბურთელი „ბასკომ" ზაფხულში „სტუ-ჯეოსელიდან" გადაიყვანა, თუმც პირველი წრის შემდეგ მასზე უარი თქვა. მინაშვილი „დინამომ" განაცხადში უკვე შეიყვანა.

**ირაკლი ბერტაია**

# მყუდრო კაცი

## კრაიჩეკი ყველაზე ტიტულოვანი იშრისტია

**მილანის ჭერქვეშა პირველობა**
**ხალიჩა. საპრიზო 380 ათასი ევრო**

**პირველი წრე**

**ქსავიე მალისი (4, ბელგია) — ანდრე სა (ბრაზილია) 6:4, 6:4; ევგენი კაფელნიკოვი (6, რუსეთი) — მარსელო შარპენტიე (არგენტინა) 6:2, 7:5; რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 7:5, 6:2; ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 7:5, 6:3**

მილანის ჭერქვეშა საჩოგნეთში იმ დღეს ორ წელზე მეტხანს უნახავი ამბავი მოხდა — უზორბესმა ჰოლანდიელმა რიჩარდ კრაიჩეკმა 2000 წლის ნოემბრის შემდეგ ჭერქვეშ თავისი პირველი შეხვედრა გაიმარჯვა და პირველი გამარჯვებაც ირგუნა. 1996 წლის უიმბლდონის ჩემპიონმა, ვინაც ტურნირზე საგანგებო საშვით დაუშვეს, პირველ წრეში პერსპექტიულ რუს ნიკოლაი დავიდენკოს სძლია.

კარიერის პირველი ტიტულის ალრეიანკარში, ადელაიდურ მაგარსაფარზე მომხვეჭი რუსი მიწიდან მეტრისა და 95 სანტიმეტრის ამთვლელ ვეტერანს მხოლოდ პირველ სეტში გაუძალიანდა, მეორეში კი მის დამთრგუნველ ხათქუნს ვეღარ გაუძლო და დანებდა.

კრაიჩეკი: „როცა ჭერქვეშ ვთამაშობ, ვიცი, რომ წარმატების კარგი შანსი მაქვს. აქ არც ქარი უბერავს, არც მზე აცხუნებს და საერთოდაც — ყველაფერი უფრო იოლადაა. თუკი მძლავრ მოწოდებას მთელი კვირის განმავლობაში შევინარჩუნებ და მეტოქეები მუდმივ წნეხში მეყოლება, ეგებ რამეს მივაღწიო კიდეც".

შეგახსენებთ, რომ რიჩარდ კრაიჩეკი 31 წლისაა და 13-წლოვანი პროფესიული კარიერისას 17 ტიტული და 10 მილიონ დოლარზე მეტი მოუნაგრავს. ორი წლის წინ მან იდაყვზე რთული ოპერაცია გადაიტანა და ამის გამო 20 თვე იუქმა. ტურს იგი შარშან ივნისში მოუბრუნდა და 6 ჭერგარე ტურნირზეც გაირჯა, მაგრამ ამდენ ხანს ნაუქმევმა ვერც ჩვეული ფორმის აღდგენა შეძლო და ვერც ვერაფრის.

სანაცვლოდ — მაშინ, როცა ჩოგნის დაკავება არ შეეძლო, მას ხელთ წიგნი დაუჭერია და იმდენი უკითხავს, რომ მალე სამართლის სპეციალისტიც გახდება. ის ახლა ერთ-ერთ ჰოლანდიურ უნივერსიტეტში სწავლობს და მის გასრულებას ისევე მიზანდასახულად ელტვის, როგორც ზეპურთა მარაქაში დაბრუნებას.




რიხარდ კრაიჩეკი



მონიკა სელეში

# სელეშმა სუგიამას გაკოჭილმა მოუგო

**PAN PACIFIC OPEN**
**ტოკიო. ხალიჩა**
**საპრიზო 1,3 მილიონი $**

**პირველი წრე**

**მაგდალენა მალეევა (5, ბულგარეთი) — საორი ობატა (იაპონია) 6:3, 6:3; ელენა ბოვინა (რუსეთი) — ანა სმაშნოვა-პისტოლეზი (7, ისრაელი) 6:2, 3:6, 6:3; ივა მაიოლი (ხორვატია) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:3, 6:3**

**მეორე წრე**

**მონიკა სელეში (1, აშშ) — აი სუგიამა (იაპონია) 7:5, 5:7, 6:1; ჩანდა რუბინი (4, აშშ) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:4, 6:0**

მონიკა სელეში ავსტრალიის ღია პირველობის მეორე წრეში უსახელო ჩეხ კლარა კუკალოვასთან დამარცხდა. ეგებ გახსოვდეთ, იმ მარცხის უმთავრესი მიზეზი მსოფლიოს ოდინდელი მეორმეჩოგნის მიერ მარცხენა კოჭის ღაშავება გახლდათ. ჩანს, 29 წლის იუგოამერიკელს კოჭი ბოლომდე ჯერაც არ მოშუშებია, რაკიღა — თუმც მჭიდროდ გაძაგრული — მარდად მოძრაობის საშუალებას სელეშს არც მასპინძელ აი სუგიამასთან სამეორწრეო შეხლისას აძლევდა.

ამ მატჩის მოთავება ტურნირის მთავარგანთესილს მეორე სეტშივე შეეძლო, მაგრამ მეათე გეიმში გაჯიქებულ იაპონელს 4 მატჩბურთიდან ერთიც ვერ ჩაუგდო და საქმის გარკვევა მესამეში მოუხდა...

მასპინძელთა მეორე ჯილა — საორი ობატა იმ დღეს მეხუთე ნომრად განთესილმა მაგდალენა მალეევამ იმსხვერპლა.

გამოსარჩევია ვეტერანი ხორვატის, ივა მაიოლის გამარჯვება სქელუა ალექსანდრა სტივენსონზე, რომელსაც სწრაფ ჭერქვეშა ხალიჩაზე ჩაუქად არც არასოდეს უჩოგნავია. 1996 წლის მეროლანგაროსე ხორვატი, ვინაც მელბურნში პირველივე წრიდან დაითხოვეს, დღეს ლინდსი დევენპორტს გადაეყრება. ეს უკანასკნელი თავის მესამე ტოკიურ ტიტულს დაეძებს და შებერებული ივა მის მოცილედ მისაჩნევი მაინცდამაინც არ უნდა იყოს.



აი სუგიამა

# შენ მშვენიერი ჩუქურთმა იყავ

## წავიდა რაფტერი. კეთილი ძია, რომელიც ღარიბი ბავშვების თვალებს არ ღალატობს

**დიდი ჩოგბურთიდან** წასვლის შესახებ ოფიციალური განცხადება აშშის ღია პირველობის ორგზის გამარჯვებულმა და უიმბლდონის ორგზის ფინალისტმა პატრიკ რაფტერმა ავსტრალიის ღია პირველობის დაწყებამდე რამდენიმე ღღით ადრე გააკეთა. იმ დღეებში მსოფლიო საჩოგნეთი უფრო წლის პირველი სლემტურნირისა და მის უმთავრეს ფავორიტთა შანსებზე მსჯელობდა. მერე კი თავად ტურნირიც დაიწყო და ეშხიანი ოზმეჩოგნის დიდი კორტიდან წასვლის ამბავიც მელბურნიდან წამოსულმა ინფორმაციამ შთანთქა. ამიტომაც ჩოგბურთის მრავალმა ტრფიალმა შესაძლოა საერთოდაც არ იცოდეს, რომ თამაშმა მისი ერთი ყველაზე დახვეწილი ოსტატი დაკარგა, ოსტატი, რომლის სინატიფესა და ჯავარსაც უახლოეს მომავალში ალბათ ვერავინ აანაზღაურებს...

„ალბათ ხვდებით, თუ რა ძნელი იყო ჩემთვის ამ გადაწყვეტილების მიღება — ეწერა რაფტერის განცხადებაში — მაგრამ თამაშის გაგრძელება უკვე აღარ შემეძლო, რაკიღა არავითარი მოტივაცია აღარ მქონდა... კორტზე ვერ დავბრუნდებოდი, თუკი არ ვიქნებოდი დარწმუნებული, რომ კვლავ ასი პროცენტით შევძლებდი თამაშს. ასეთი რამ კი გამორიცხული იყო — მხრის ტრავმა არა და არ მიშუშდებოდა. როცა მივხვდი, რომ საბოლოო გამოჯანმრთელება არ მეწერა, გადაწყვეტილებაც მაშინ მივიღე".

„რასაკვირველია, ყოველთვის სევდით მოვიგონებ იმას, რომ უიმბლდონის მთავარტიტული და დევისის თასი მოუგებელი დამრჩა, მაგრამ რას იზამ, ასეთია სპორტული ცხოვრება — რაღაცას იგებ, რაღაცას აგებ. თუმცა ჩემი მიღწევებით მე მაინც კმაყოფილი ვარ, რადგანაც ვიცი, რომ ბოლომდე დავიხარჯე და რაც შემეძლო, კაცურად ვაკეთე".

შეგახსენებთ, რომ მხარი რაფტერმა უკანასკნელად 2001 წლის დევისფინალში, სებასტიან გროჟანთან გამარჯვებისას იტკინა. ის ფინალი ოზებმა მაინც დათმეს (2:3), ხოლო რაფტერს დიდი ხნით დასვენება მოუხდა. იმედი, რომ მხარს მოიკეთებდა, არ გამართლდა და მანაც ჩოგნის ჩამოკიდება არჩია.

ორგზის მესლემტიტულე რაფტერი 1972 წლის 28 დეკემბერს ქუინზლენდის ერთ პატარა ქალაქში დაიბადა. ცხრა დედმამიშვილს შორის ასაკით მეექვსეს დალხენილი ბავშვობა სულაც არ ჰქონია. პროფესიული კარიერა 18 წლისამ დაიწყო და 1991-წლიდან 2001-ის ჩათვლით 11 საერთეულო, 10 საწყვილო ტიტულისა და 11 მილიონ დოლარზე მეტის მოხვეჭა შეძლო. აშშ-ის ღია პირველობაზე 1997-98 წლებში იმარჯვა, უიმბლდონის ფინალში კი 2000-01 წლებში დამარცხდა. აქედან უკანასკნელი ფინალი მან ხორვატ გორან ივანიშევიჩთან წააგო. ეს ხუთსეტიანი, დაძაბული გაიდაგანა უიმბლდონის ისტორიაში ერთ ყველაზე დრამატულ შეხლად შევიდა.

თერთმეტი ტიტულიდან ორი რაფტერმა კანადურ და ცინცინატურ მასტერსტურნირებზე მოირეწა. 1997 წელს ის როლანგაროსულ ნახევარფინალში დამარცხდა, 2001 წელს კი ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალამდე იომა. ანუ ის ერთი იმ იშვიათ მეჩოგნეთაგანი იყო, ვისაც ოთხივე სლემტურნირის (სულ მცირე) ნახევარფინალში უთამაშია.

მაგრამ მხოლოდ შედეგები ვერ ასახავენ იმ გავლენას, რაც რაფტერმა ჩოგბურთზე მოახდინა. ჯიშად „მომწოდებელ-მიმძალებელი" ის აოცებდა ქომაგებს თავისი აგრესიული, მოიერიშე ჩოგნაობით მაშინ, როცა „მოწოდება-მიძალების" ყაიდას მხოლოდ ერთეულნი მისდევდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს რეიტინგსიის სათავეშიც მდგარა, მას არასოდეს დაუკარგავს თავმდაბლობა, ის ყოველთვის იყო ზედმიწევნით თავაზიანი და კეთილმოსურნე. ის დიდძალ თანხებს ხარჯავდა ქველმოქმედებაზე და უპოვარ ბავშვებს დღემდე დიდ დახმარებას უწევს მის მიერ დაარსებული მოწყალების ფონდი...

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი ჯონ ჰაუარდი: „პატ, შენ მშვენიერი ჩუქურთმა იყავი ავსტრალიური ჩოგბურთისთვის და ყოველთვის დარჩები კაცობის მისაბაძ მაგალითად".

ლეიტონ ჰიუიტი: „ის ალბათ ერთი ყველაზე ნატიფი იყო იმათ შორის, ვისაც კი ოდესმე ჩოგანი სჭერია. მისი ყურება ყველას განუზომელ სიამოვნებას ანიჭებდა. მას უწინარესად სწორედ როგორც ჩოგბურთის არტისტს მოიგონებენ".

„კაცობის მისაბაძი მაგალითი" და „ჩოგბურთის არტისტი" ახლა მეგობარ ქალ ლარა ფელტჰემსთან და მათ პირმშო ვაჟ ჯოშუა პატრიკთან ერთად ცხოვრობს: „კორტი ძალიან მომენატრება, მაგრამ ახლა ჩემთვის უმთავრესი შინ, ჩემიანებთან ერთად ყოფნაა. ვნახოთ, რას შემომთავაზებს ცხოვრება".

იქნებ ცხოვრებამ მას ოდესმე ისევ ჩოგანი შესთავაზოს?

ის ხომ ჯერ 30 წლისაა და მარტინა ნავრატილოვას საჩემპიონო ასაკს თექვსმეტი წელიწადი აშორებს.

**ლევან ძელაურაძე**



პატრიკ რაფტერი იმიტომ წავიდა ჩოგბურთიდან, რომ მიხვდა: ასე ვეღარასოდეს აღმართავდა ხელს



პატი, ლარა და პატარა ჯოშუა პატრიკი

## რეგულარული ჩემპიონატი

# რა ბანკეტი ჩაიშალა! ბრეტ ჰალს მე-700 არ გაატანინეს

28 იანვარი

**ბოსტონი 2:1 ნეშვილი 1:0 1:0 0:1**

**1:0 ნაბლი (5), 2:0 ტორნტონი (39), 2:1 იუჰანსონი (52)**

„ლაპარაკის გუნებაზე მაშინ ვარ, როცა ყინულზე მოვიქანცები, სათადარიგოთა სკამზე ჯდომისას კი ნუ დამელაპარაკებით." — ჯეფ ჰეკეტს ახლა ნამდვილად არა აქვს უკმაყოფილების მიზეზი. 3 მილიონ დოლარს უხდიან და სკამზე ვინ დასვამს. რაც მონრეალიდან ბოსტონში გადავიდა, ნამდვილად ეშველა. მის მიერ ჩატარებული ორი მატჩის შემდეგ გუნდის ბოსებიც დარწმუნდნენ, რომ დიდძალ ფულს წყალში არ ყრიან.

**კოლუმბუსი 2:2 კოლორადო 0:1 2:0 0:1 0:0**

**0:1 ფუტი (18), 1:1 პირიეტა (33), 2:1 მარშალი (33), 2:2 ტანგეი (47)**

**ვაშინგტონი 3:5 სენტ ლუისი 1:1 2:3 0:1**

**0:1 მელანბი (17), 1:1 გრინი (20), 2:1 იაგრი (24), 3:1 ზუბრუსი (33), 3:2 ტკაჩუკი (38), 3:3 დემიტრა (38), 3:4 მაკინისი (40), 3:5 ტკაჩუკი (60)**

არავინ იცის, რას გიმზადებს განგება. წინა მატჩში, დალასთან შეხვედრაში, საუკეთესო დაცვის მქონე სენტ ლუისმა ორ წუთში სამი გოლი გაუშვა. ახლა კი ვაშინგტონს დაატეხა თავს იგივე. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლების კარს ოლაფ კოლციგი იცავდა, რომელსაც 1 დეკემბრიდან 3 გოლზე მეტი არ გაეშვა. სტუმრებმა მეორე პერიოდის მიწურულს ორ წუთში სამჯერ გაიტანეს. გაცხარებულმა ოლაფმა კი ჯავრი იმითღა იყარა, რომ ყვანჯი გატეხა.

**ფილადელფია 0:3 ტამპა 0:1 0:1 0:1**

**0:1 ფედოტენკო (12), 0:2 სან ლუი (40), 0:3 მოდინი (54)**

რუსლან ფედოტენკო ტამპას თავისი ყოფილი გუნდის გაწბილებაში დაეხმარა. ექვსი წელია, „ელვებს" ფილადელფიაში არ მოეგოთ.

**აილენდერსი 5:2 პიტსბურგი 0:0 2:1 3:1**

**1:0 ბლეიკი (24), 2:0 ტიმანდერი (26), 2:1 მაკუნა (33), 3:1 იაშინი (52), 3:2 რობიტაილი (51), 4:2 ბლეიკი (53), 5:2 კვაშა (56)**

**ატლანტა 5:2 რეინჯერსი 3:0 2:0 0:2**

**1:0 ჰიტლი (9), 2:0 ტეპერი (16), 3:0 ტეპერი (18), 4:0 ჰიტლი (32), 5:0 რიომი (39), 5:1 ლინდროსი (50), 5:2 პოტი (56)**



REUTERS მონრეალიდან

მონრეალის მეკარე ჟოზე თეოდორმა ძნელი შაიბა მოიგერია

ნუ გაოცდებით, ატლანტა უკვე პლეიოფზე ოცნებობს. თუმც რა გასაკვირია, „თრეშერებმა" ბობ ჰარტლის ხელში 7 მატჩში 11 ქულა მოიპოვეს, ბოლო ოთახში 20 გოლი გაიტანეს, ხოლო კლუბის ახალგაზრდა ვარსკვლავი დანი ჰიტლი შეუდარებელია — 8 მატჩში 11 გოლი, აქედან 5 რეინჯერსთან ბოლო ორ მატჩში (შაბათს ჰეთ თრიქი შეასრულა ნიუიორკელებთან 4:1 მოგებულ თამაშში). „ერთი საქმე უკვე გავაკეთეთ, ბიჭებმა ირწმუნეს, რომ მოგება შეუძლიათ" — დაასკვნა ჰარტლიმ მატჩის შემდეგ.

**ნიუ ჯერსი 1:0 დეტროიტი 0:0 0:0 1:0**

**1:0 ნიდერმაიერი (44)**

მატჩის დაწყებამდე წამები რჩებოდა, როცა მთავარმა მსაჯმა ბილ მაკრიარიმ ნიუ ჯერსის თავკაც პეტ ბიორნსს ჩაუკაკლა, დეტროიტელები ყველაფერს გააკეთებენ, რათა ამ მატჩში ბრეტ ჰალმა მე-700 გაიტანოს და ამას საგანგებოდაც აღნიშნავენო. „თქვენ ნუ ღელავთ, მსგავსი არაფერი მოხდება" — თქვა ბიორნსმა და სიტყვაც შეასრულა. მწვრთნელმა მითითებები მისცა შეგირდებს და მათაც ჰალი არ გაახარეს. მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ბრეტს გატანის შანსი, მაგრამ მის საფირმო დარტყმას ნიუ ჯერსის მეკარე მარტინ ბროდო ბრწყინვალედ გაუმკლავდა.

ასეა, წინასწარ არაფერი უნდა დაგეგმო.

**მონრეალი 6:3 ფლორიდა 2:2 2:1 2:0**

**1:0 ბრისბუა (4), 2:0 ზედნიკი (6), 2:1 კოზლოვი (12), 2:2 მატო (17), 3:2 მარკოვი (28), 3:3 უაისი (32), 4:3 ზედნიკი (36), 5:3 მაკეი (48), 6:3 რიბეირო (56)**

**ფინიქსი 4:3 კალგარი 2:0 0:3 2:0**

**1:0 აბიდი (3), 2:0 ლენგკოუ (20), 2:1 დრური (31), 2:2 კლარკი (31), 2:3 ბუგნერი (33), 3:3 ჯონსონი (43), 4:3 აბიდი (59)**

რამზი აბიდი ფინიქსის ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ხვდება, მაგრამ ფარმკლუბიდან მისი ყოველი გამოძახება დასამახსოვრებელია. ახლა კალგარიმაც იწვნია მისი ძალა. მან ორი გოლი და ერთი პასი მიითვალა.

**სან ხოსე 3:1 ლოს ანჯელესი 3:1 0:0 0:0**

**0:1 სმოლინსკი (3), 1:1 ნოლანი (5), 2:1 სელიანე (10), 3:1 მარლო (14)**

**ვანკუვერი 2:2 მინესოტა 2:1 0:0 0:1 0:0**

**1:0 ნესლუნდი (4), 2:0 სოპელი (8), 2:1 შულცი (13), 2:2 ჟოლტოკი (50)**

## ცრუ და ნაღდი

# დასასვენებელი სახლი ცნობილი ხალხისთვის

## ახალგაზრდა ლომები ნადირობას სწავლობენ



რიკ ნეში

**ჰკითხეთ** ნებისმიერ ჩრდილოამერიკელ ქომაგს, ყველაზე მეტად რა დაამახსოვრდა შარშანდელი „ოლ სტარიდან" და უმრავლესობა აუცილებლად გიპასუხებთ, ახალგაზრდათა თამაშში ილია კოვალჩუკის მიერ გატანილი ექვსი გოლი. დიახ, რაოდენ საწყენიც უნდა იყოს, ბოლო ხანს დიდების თამაშისადმი ინტერესი დაიკარგა. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ ჭაბუკთა მატჩი შარშან პირველად ჩატარდა და უმალ მოიგო მაყურებელთა გული. ცხადია, ეს უმიზეზოდ არ ხდება. ძირითად თამაშში ისეთი ვარსკვლავები მონაწილეობენ, დასამტკიცებელი ბევრი არაფერი აქვთ. მათ ურჩევნიათ, „ოლ სტარისთვის" გამოყოფილ რამდენიმე დღეს დაისვენონ. მომავალი ვარსკვლავებისთვის კი ეს თავის გამოჩენის ჩინებული შანსია. ვნახოთ, რა იქნება წლეულს.

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

**მეკარე** *რაიან მილერი (ბუფალო);*

**მცველები:** *დენის ზაიდენბერგი (ფილადელფია), ანტონ კოლჩენკოვი (ოტავა), ჰენრიკ ტალინდერი (ბუფალო), ჯეი ბოუმისტერი (ფლორიდა);*

**ფორვარდები:** *პაველ ბრენდლი (ფილადელფია), ერიკ კოული (კაროლინა), მარიან ჰოსა (მონრეალი), ტაილორ პაიეტი (ბუფალო), გლენ საზერბი (ვაშინგტონი), ალექსანდრ სვიტოვი (ტამპა), მატიას ვეინჰანდლი (აილენდერსი), სტივენ უაისი (ფლორიდა), ნიკლას ჰაგმანი (ფლორიდა)*

**დასავლეთის კონფერენცია**

**მეკარე** *დავიდ ებიშერი (კოლორადო)*

**მცველები:** *როსტისლავ კლესლა (კოლუმბუსი), ბარეტ ჯეკმენი (სენტ ლუისი), ჯორდან ლეოპოლდი (კალგარი), ნიკ შულცი (მინესოტა), ოსი ვაანანენი (ფინიქსი);*

**ფორვარდები:** *რიკ ნეში (კოლუმბუსი), ტაილერ არნასონი (ჩიკაგო), ალექსანდრ ფროლოვი (ლოს ანჯელესი), სტანისლავ ჩისტოვი (ანაჰაიმი), ადამ ჰოლი (ნეშვილი), ალეშ ჰემსკი (ედმონტონი), ნიკო კაპანენი (დალასი), ბრანკო რადივოევიჩი (ფინიქსი)*

დასახელებულთა უმრავლესობას ჯერჯერობით ბევრით არაფრით გამოუჩენია თავი, თუმც რიკ ნეშმა და ჯეი ბოუმისტერმა, წლევანდელი დრაფტის შესაბამისად პირველად და მესამედ არჩეულებმა, უკვე დაიმკვიდრეს ადგილი ძირითად შემადგენლობაში, ნეში კი ახალბედებში საუკეთესო ბომბარდირია, თან ყველაზე უმცროსი რჩეულთა შორის, 18 წლისაა. ამ სიებში მოხვედრილთა უმრავლესობა ლიგის დებიუტანტია. არიან ისეთებიც, რომელთათვისაც ეს უკვე მესამე სეზონია, მაგალითად, დევიდ ებაშერი, პატრიკ რუას დუბლიორი კოლორადოში.

ჭადრაკი



REUTERS ნიუ იორკიდან

# კაინშტეინი VS ფრანკენშტეინი

## კასპაროვი ნაღდზე თამაშობს

**კვირას** ნიუ იორკში, მანჰეტენის სპორტულ კლუბში, დაიწყო საჭადრაკო ტურნირი კასპაროვსა და კომპიუტერს შორის.

კომპიუტერი გროსმაისტერს „DEEP JUNIOR" პროგრამით ეთამაშება, რომელიც ებრაელი პროგრამისტების მიერაა შექმნილი და მსოფლიოს ჩემპიონია საჭადრაკო პროგრამებში.

მატჩი ფიდეს მეთვალყურეობით მიმდინარეობს და მისი საპრიზო ფონდი ერთი მილიონი დოლარია. თანხის ნახევარი უკვე კასპაროვის საკუთრებაა, დარჩენილი ნახევარი მილიონიდან კი 300 ათასს გამარჯვებული მიიღებს, 200 ათასს დამარცხებული. ყაიმის შემთხვევაში ორივე მხარე 250-250 ათასს გაინაწილებს. ტურნირი 7 თებერვლამდე გასტანს და მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ექვსჯერ დაუპირისპირდებიან.

პირველ შეხვედრაში კასპაროვმა იოლად, 27-ე სვლაზე დაამარცხა კომპიუტერი და 1:0 დაწინაურდა. გაცილებით საინტერესო და დაძაბული გამოდგა მეორე პარტია, რომელიც ოთხნახევარი საათი გაგრძელდა და ყაიმით დასრულდა.

ეს პარტია კომპიუტერმა კლასიკური [illegible]-ით დაიწყო, რასაც კასპაროვმა სიცილიური დაცვა დაუპირისპირა. თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, ხან ადამიანი ფლობდა ინიციატივას, ხან კომპიუტერი. საბოლოოდ კასპაროვმა ლაზიერი ეტლებში გაცვალა და პარტია ყაიმით დაასრულა.

„თამაშის ყაიმით დასრულება მეოცე სვლიდანაც შემეძლო, თუმცა მე უფრო დიდი მიზანი მქონდა" — განაცხადა კასპაროვმა მატჩის შემდეგ.

ორი ტურის შემდეგ წინ ადამიანი გროსმაისტერია 1,5-0,5.

**ლაშა გეგეჭკორი**

რაგბი

# ასთმიანი ისტორია

**ახალი ზელანდიის** ნაკრების ვარსკვლავი ჯო მაკდონალდი რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) დოპინგტრიბუნალმა დაიბარა.

„ოლ ბლექსის" მოიერიშეს ჯარიმის სახით 50 ათასი ახალზელანდიური დოლარის გადახდა მოუწევს. მაკდონალდი იოლად გადარჩა, რაკი უფრო დიდი ჯარიმა და ერთწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრებოდა.

საშემოდგომო ევროტურნეში, საფრანგეთთან გამართული ტესტის შემდეგ, მაკდონალდი დოპინგზე შეამოწმეს. მის სისხლში სალბუტამოლის ნაკვალევი აღმოაჩინეს. სალბუტამოლი ასთმიანთა სამკურნალო ერთ-ერთი მთავარი პრეპარატია და სტიმულატორების მცირე დოზას შეიცავს. IRB ამ პრეპარატს დოპინგთან აიგივებს. არის მეორე გარემოებაც, თუ მოთამაშე მართლაც ასთმიანია, მაშინ IRB გამონაკლისს უშვებს და მისი ხმარების ნებას რთავს. ოღონდ მორაგბის ავადმყოფობაზე უნდა იყოს ინფორმირებული.

მაკდონალდმა კი მისი ასთმით დაავადება დამალა და ევროტურნემდე ანონიმურად მკურნალობდა. „მეშინოდა, რომ ავადმყოფობის გამო ტურნეში არ წამიყვანდნენ და ნაკრებში ადგილს დავკარგავდი, ამიტომ დავმალე ჩემი ასთმიანობა. არ მეგონა, თუ სალბუტამოლს დოპინგთან აიგივებდნენ" — თავი იმართლა მაკდონალდმა. მისივე თხოვნით, ველინგტონის კლინიკაში დაადასტურეს, რომ მორაგბე მართლაც მკურნალობდა და ამან შედეგიც გამოიღო: ევროპაში მოგზაურობისას მაკდონალდს შეტევა არ ჰქონია და სალბუტამოლის მაგივრად სხვა პრეპარატების იმედად იყო.

IRB-ის დოპინგ-ტრიბუნალმა მაკდონალდი მაინც შეამოწმა და დარწმუნდა — ის მართლაც ასთმიანია. „მისი დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ ყველას დაგვიმალა, თუ რა სჭირდა. ეთქვა ჩვენთვის და IRB-ის საქმის კურსში ჩავაყენებდით. ამით თავიდან ავიცილებდით გაუგებრობას" — განაცხადა ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის პრეს-მდივანმა.

**ბაჩო სვანიძე**



ჯო მაკდონალდი

# ინდური ჯილდოები

ინდოეთის ქალაქ ბომბეიში ჭეშმარიტად ინდური სინატიფითა და ცეკვა-თამაშით ჩატარდა კრიკეტის საერთაშორისო ჯილდოების გადაცემის საღამო. საუკუნის მოკრიკეტედ ლეგენდარული კაპილ დევი შერაცხეს. ამ შოუში მთავარ მოთამაშეებად იყვნენ ინდური კინოსტუდია „ბოლივუდის“ ვარსკვლავები, მალაიკა არორა, რომელიც კრიკეტის ვარსკვლავებმა შეათამაშეს მკლავებში და შილფა შეტი, რომელთანაც საკრიკეტო ტაფელით ხელში ოსტატურად იცეკვა ამ თამაშის ვარსკვლავმა საჩინ ტენდულკარმა.



REUTERS ბომბეიდან





REUTERS ტამპიდან

# ბუკანიერთა ზეიმი

ტამპა ბეიში, ცხადია, ზეიმია. იქაურმა ბუკანიერებმა ხომ 37-ე სუპერბოული მოუგეს ოკლენდელებს და ისტორიაში პირველად გახდნენ ამერიკული ბურთაობის ჩემპიონები. გუშინ გუნდი ქალაქის ქუჩებში გავიდა და სალამ-ქალამიც დიდი იყო. დერიკ ბრუქსი წლის მცველადაც აღიარეს.



REUTERS შანხაიდან

# ქალთა სიხარული

შანხაიში ფეხბურთის რჩეული გუნდების ოთხთა ტურნირი მიმდინარეობს. ქალთა ნაკრებები ერთმანეთს დაუზოგავად ებრძვიან. მასპინძელ ჩინელებს ისე გახარებიათ ნორვეგიელთა კარში გატანილი გოლი, რომ ამ გოლის გამტან ტან ვეის მაისურაც გადაუძვრია. ეს შეხვედრა 1:1 დასრულებულა და ჩინელებიც მეორე ადგილზე აცოცებულან მსოფლიო ჩემპიონ ამერიკელთა კვალად.

# დაშავდა

მორიგ თამაშში „მინესოტა ტიმბერვულვზის“ მცველი როდ სტრიკლენდი მაგრად შეასკდა სანანტონიოელ ტონი პარკერს და გვარიანადაც დაშავდა. ისე, რომ როდმა თამაში ვეღარ გააგრძელა, თუმც „მინესოტამ“ მაინც მოიგო 106:95.



REUTERS მინეაპოლისიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი კაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ლევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge